

საქმეზე „ლიკმე თურქეთის წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (პირველი სექცია) შეიკრიბა პალატის სახით შემდეგი შემადგენლობით:

ქ-ნი ე. პალმი, პრეზიდენტი,
ბ-ნი ლ. ფერარი ბრაშო,
ბ-ნი ს. ბირსანი,
ქ-ნი ვ. ტომასენი,
ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი,
ბ-ნი რ. მარუსტი, მოსამართლეები,
ბ-ნი ფ. ბოლსუკლუ, ad hoc მოსამართლე,
ბ-ნი მ. ო'ბოილი, სექციის მდივანი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2000 წლის 29 თებერვალს და 20 ივნისს, გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება, რომელიც გამოქვეყნდა ამ უკანასკნელ რიცხვში.

პროცედურა

1. საქმე სასამართლოს გადაეცა ადამიანის უფლებების ევროპული კომისიის (კომისია) მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ეროვნული კონვენციის (კონვენცია)¹ №11 ოქმის ძალაში შესვლამდე გამოსაყენებელი დებულებების მიხედვით 1999 წლის 11 სექტემბერს (№11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და კონვენციის ყოფილი 47-ე და 48-ე მუხლები).

2. საქმე დაიწყო კომისიაში კონვენციის 25-ე მუხლის საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განცხადებით (№20869/92) თურქეთის ორი მოქალაქის ბ-ნ მეთინ დიკმეს (პირველი განმცხადებელი) და მისი დედის, ქ-ნ ემინე დიკმეს (მეორე განმცხადებელი) მიერ 1992 წლის 22 ოქტომბერს. კონვენციის მე-3 მუხლსა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით, პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ ის დაკავებული იყო პოლიციის საპატიმროში არაგონივრული დროის განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში ის დაექვემდებარა ცუდად მოპყრობას. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ის აცხადებდა, რომ დაკავების დროს მას მართლ-ზომიერად არ განემარტა იმ დანაშაულების შესახებ, რომლებშიც ის იყო ეჭვმიტანილი. მან ასევე განაცხადა, რომ დაკავებისას მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაკავშირებოდა მის იურისტს, რაც გადაიზარდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის დარღვევაში. და ბოლოს, ის მიუთითებდა, რომ იგი იყო მე-2 მუხლის დარღვევის მსხვერპლი ორი მიმართულებით: პირველი, დანაშაული, რომელშიც იგი იყო დადანაშაულებული, იმსახურებდა სიკვდილით დასჯას; და მეორე, მის მიმართ ცუდად მოპყრობა იმდენად სასტიკი იყო, რომ მიღებული დაზიანებებისაგან შესაძლებელი იყო მომკვდარიყო. მეორე განმცხადებელი ჩიოდა, რომ ციხის ადმინისტრაციის უარი მის მიერ შეიღის მონახულებაზე გაუტოლდა ოჯახურ ცხოვრებაზე მისი უფლების დარღვევას მე-8 მუხლის ფარგლებში.

3. 1993 წლის 29 ნოემბერს კომისიამ გადაწყვიტა თურქეთის მთავრობისათვის (მთავრობა) ეცნობებინა განცხადების თაობაზე და მოიწვია ისინი დაშვებადობასა და საქმის არსებით განხილვაზე წვრილობითი განხილვების წარსადგენად.

¹ მდივნის აღნიშვნა №1 დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბერს

1994 წლის 17 ოქტომბერს კომისიამ აღნიშნა რა, რომ მიუხედავად შეხსენებისა მთავრობას არ წარუდგენია არანაირი წერილობითი განხილვა და არ წამოუყენებია რაიმე წინასწარი პრეტენზია, განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (გ) და მე-8 მუხლის საფუძველზე დაშვებულად გამოაცხადა, ხოლო განცხადებაზე უარი - დაუშვებლად. 1998 წლის 3 მარტს კომისიამ, მისი პირადი ინიციატივიდან გამომდინარე, გადაწყვიტა, რომ კონვენციის ყოფილი 29-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობიდან გამომდინარე, მოეწვია მხარეები იმისათვის, რომ მათ წარმოედგინათ მოსაზრებები, თუ რამდენად იყო დაცული ექვსთვიანი დროის ზღვარი მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით. 1998 წლის 2 დეკემბერს მისი წევრების საჭირო ორი მესამედის არყოფნისას კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული დებულება არ იყო გამოყენებადი. 1999 წლის 4 ივნისის ანგარიშში (კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლი)¹, კომისიამ გამოხატა ერთსულოვანი დამოკიდებულება, რომ პირველი განმცხადებლის მიმართ, დაირღვა მე-3 მუხლი და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთად, მაგრამ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი არ დარღვეულა. მან ასევე დააფიქსირა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ მეორე განმცხადებლის მიმართ მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

4. 1999 წლის 20 სექტემბერს დიდი პალატის შემადგენლობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმე სასამართლოს ერთ-ერთ სექციას განეხილა (სასამართლოს რეგლამენტის მუხლი 100, პუნქტი 1). სასამართლოს პრეზიდენტმა საქმე გადასცა პირველ სექციას. თურქეთის მხრიდან არჩეული მოსამართლე ბ-ნი რ. ტურმენი აცხადებულ იქნა საქმიდან (წესი 28). შესაბამისად, მთავრობამ *ad hoc* მოსამართლედ დანიშნა ბ-ნი ფ. გოლსუკლუ (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

5. მთავრობის წარმომადგენლებთან და განმცხადებელთან კონსულტაციების შემდეგ პალატამ საჯარო მოსმენის გამართვა გადაწყვიტა (59-ე წესი, პუნქტი მე-2).

6. 1999 წლის 12 ნოემბერს სამდივნომ მიიღო განმცხადებლის პეტიცია. 1999 წლის 13 დეკემბერს მთავრობამ გაგზავნა თავისი პეტიცია სექციის პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში. განმცხადებლის პეტიციის დამატება, მოთხოვნის დეტალებით, კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სამდივნომ მიიღო 2000 წლის 24 იანვარს.

7. 2000 წლის 10 თებერვალს სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სამდივნომ მხარეებს გადასცა შეკითხვები საქმის ფაქტებთან დაკავშირებით და მათ მოსმენაზე პასუხის გაცემა მოსთხოვა.

8. 2000 წლის 25 თებერვალს პრეზიდენტმა განმცხადებელს მიანიჭა სამართლებრივი დახმარება (წესი 91).

9. საჯარო მოსმენა გაიმართა ადამიანის უფლებების შენობაში, სტრასბურგში 2000 წლის 29 თებერვალს.

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

ა) მთავრობის მხრიდან:

ქ-ნი ღ. აჰჩაი, სამართლის დოქტორი,

თანამოხელე,

ბ-ნი ი. ოზდემირი,

ბ-ნი უ. კოლატი,

მრჩეველები;

1. მდივნის აღნიშვნა: ანგარიშის მიღება შესაძლებელია სამდივნოდან.

ბ) განმცხადებლის მხრიდან:

ბ-ნი ტ. ჰოჰნე, ვენის ადვოკატთაგან, კონსულტანტი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნ ჰოჰნეს და ქ-ნ აკნაის მიმართვები.

შაქტაბი

I. საქმის ბარემოებები

10. განმცხადებლები ბ-ნი მეტინ დიკმე და მისი დედა, ქ-ნი ემინე დიკმე დაიბადნენ 1969 და 1933 წლებში. პირველი განმცხადებელი ამჟამად იმყოფება სტამბულის ციხეში. მისი დედა ცხოვრობს ვენაში.

ა. ბ-ნ დიკმეს დაპატიმრება, პატიმრობა პოლიციის საპატიმროში და დაუშთავრებელი სასამართლო პროცესი

11. პირველი განმცხადებლის დაპატიმრების გარემოებები, მისი წაყვანა პოლიციის საპატიმროში და დაუშთავრებელ სასამართლომდე პატიმრობა, როგორც მის მიერ არის აღწერილი 1992 წლის 24 ივნისის წერილში, შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს.

12. 1992 წლის 10 თებერვალს 7 საათსა და 30 წუთზე, სტამბულში, ლევენტის რაიონში პოლიციის სამმა ოფიცერმა გააჩერა პირველი განმცხადებელი და მისი კომპანიონი ქ-ნ „ი.ო“, რომლებსაც შეკითხვები დაუსვა. მათ ყალბი პირადობის დამადასტურებელი საბუთები აღმოაჩნდათ. ისინი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში ლოდინის შემდეგ გადაიყვანეს სტამბულის ლევენტის პოლიციის ანტიტერორისტული განყოფილების შტაბში (შტაბი). ისინი საპატიმროში შენობის სხვადასხვა ნაწილებში მოათავსეს. მიყვანისას განმცხადებელს თვალები აუხვიეს და პოლიციის ოფიცრების ჯგუფმა, რომლებმაც მას განუცხადეს, რომ იყვნენ „ანტიDev-Sol“-ის ჯგუფის წევრები, დაიწყეს მისი ცემა მუშტებით. ისინი მას ემუქრებოდნენ სიკვდილით თუ თავის ნამდვილ ვინაობას არ აღიარებდა. ამის შემდეგ ის ჩაიყვანეს პირველ სართულზე ოთახში, სადაც გახადეს, ხელები ზურგზე შეუკრეს და მკლავებით დაკიდეს იმ ფორმით, რომელიც ცნობილია „პალესტინურად დაკიდების“ მეთოდის სახელით. ამ მდგომარეობაში მყოფს პოლიციის ოფიცრები განუწყვეტლივ სცემდნენ რამდენიმე საათის განმავლობაში და მის წინააღმდეგ გამოიყენეს ელექტროშოკი, ხოლო ელექტროხელსაწყო მას ქვედა კიდურებსა და სასქესო ორგანოებზე მიუმაგრეს.

13. დაახლოებით 7 საათზე ბ-ნი დიკმე გაიყვანეს სხვა ოთახში და დააწვინეს იატაკზე ისევ უკან შეკრული ხელებით. მამაკაცმა, რომელმაც უთხრა, რომ იყო საიდუმლო სამსახურის წევრი, განუცხადა: „შენ ეკუთვნი Devrimci Sol-ს და თუ არ მოგცემ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას, შენ პირველ რიგში ფეხებს აქ დატოვებ!...“ ამის შემდეგ პოლიციის ოფიცრები მას სასქესო ორგანოებში 2 საათის განმავლობაში ურტყამდნენ, რის შემდეგ ის წაიყვანეს 2 მ² ფართის ოთახში, სადაც იატაკზე შიშველმა დაიძინა.

14. დაახლოებით 8 საათისთვის, მეორე დილას ის ისევ ჩაიყვანეს პირველ სართულზე, შეკრეს და დააწვინეს იატაკზე. იგი კვლავ სცემეს და გამოიყენეს ელექტროშოკი მის თითებზე, ენაზე და ყურების უკან. იმ დროისათვის, როცა მისი მწამებლები გავიდნენ სამხარზე, მან ორჯერ დაკარგა გონება. ერთი საათის შემდეგ ის ისევ „პალესტინურად დაკიდეს“ და ცივი წყლის გადასხმის შემდეგ მის მიმართ კვლავ ელექტროშოკი გამოიყენეს. რის შემდეგაც ის ისევ ბეტონის იატაკზე შიშველი და თვალით დაზარალებული

დატოვებს. იმ სადამოს იგი ზედა სართულზე აიყვანეს, სადაც საიდუმლო სამსახურის აგენტმა მას თმებში ჩააგდო ხელი და თავი ორჯერ მიარტყმევინა კედელზე. ამის შემდეგ მას ჩააცვეს და ტყეში წაიყვანეს. აქ მას ერთ-ერთმა აგენტმა თავზე რევოლვერი მიაღო და ურჩია ბრმა ტყვიის გასროლამდე „ბოლო ლოცვა“ წარმოეთქვა. დაცინვის შემდეგ, ის უკან წაიყვანეს განყოფილებაში. შემდეგ მას ისევ აუხვიეს თვალები, გააშიშვლეს და ყინულიან ცივ წყალში მოათავსეს. მეორე დღეს პოლიციის ოფიცრებმა მისი წამება გააგრძელეს.

15. ცუდად მოპყრობა დამთავრდა ბ-ნ დიკმეს დაკავებიდან მე-5 დღეს. თუმცა მისი დაკითხვა გრძელდებოდა თვალებახვეულ მდგომარეობაში და ის მაინც ექვემდებარებოდა შეურაცხყოფის ტალღას.

16. ბ-ნ დიკმეს პოლიციაში დაკავებისას იურისტი არ დახმარებია. ის თავის საკანში 16 საათს ატარებდა; არ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა მნახველი, ან წაეკითხა წიგნები და/ან გაზეთები. ერთადერთი ადამიანი, ვინც განყოფილების შენობაში შესვლის შემდეგ ნახა, იყო მისი კომპანიონი „ი.ო“, თუმცა არ ჰქონია მასთან დალაპარაკების შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, მან სასამართლოს წარუდგინა „ი.ო“-ს წერილი, რომელიც მოიცავდა შემდეგ აბზაცს:

„მეთინ დიკმე და მე დაგვაკავეს 1992 წლის 10 თებერვალს... როგორც კი მიგვიყვანეს პირველ განყოფილებაში, მათ ჩვენ თვალები აგვიხვიეს და ერთმანეთს დაგვაშორეს. სანამ მე საკანში წამიყვანდნენ, დავინახე როგორ დაიწყეს მათ მისი ცემა. განყოფილებაში გატარებული თექვსმეტი დღიდან მეთინს ვხედავდი მარტო მაშინ, როდესაც ის ან მიდიოდა, ან მოდიოდა დაკითხვიდან და ხანდახან, როდესაც საპირფარეშოში მიჰყავდათ. ყოველი შემთხვევის დროს ის თვალებახვეული იყო. მხოლოდ ერთხელ დავინახე მისი თვალების გარშემო დალურჯებები. თუმცა ჩემი დკითხვის დროს ისინი მეთინს, ყოველთვის შეურაცხყოფას აყენებდნენ და მიყევბოდნენ როგორ აწამებდნენ...“

17. 1992 წლის 25 თებერვალს განყოფილებამ სტამბულის ნაციონალური უსაფრთხოების სასამართლოს საჯარო პროკურორს („ნაციონალური უსაფრთხოების სასამართლო“, „საჯარო პროკურორი“) მოსთხოვა პირველი განმცხადებლის და „ი. ო.“-ს გადაცემა სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის სულთანაჰმეტის სამსახურისათვის. საჯარო პროკურორმა თანხმობა განაცხადა და 1992 წლის 26 თებერვალს – პოლიციის საპატიმროში მათი დაკავების მეთექვსმეტე დღეს – ისინი შეამოწმა სასამართლოს სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც, მითითებისამებრ, უთხრა პირველ განმცხადებელს: „შენ ხარ მეტრძოლი ხასიათის; ცუდი არაფერი გჭირს“.

სამედიცინო ანგარიში, რომელიც იმავე დღეს დაიწერა, ადგენდა, რომ „ი.ო“-ს სხეულზე დარტყმის, ან ფიზიკური იძულების არანაირი კვალი არ აღმოჩნდა; მხოლოდ „ფუფხით დაფარული ძველი ნაფხაჭნები შეინიშნებოდა [პირველი განმცხადებლის] მარცხენა მუხლზე“.

18. იმავე დღეს, მოგვიანებით, პირველი განმცხადებელი და „ი.ო“ დაკითხა საჯარო პროკურორმა და ისინი ნაციონალური უსაფრთხოების სასამართლოს წინაშე წარადგინა. მათ უარყვეს პოლიციაში ნათქვამი და განაცხადეს, რომ აღიარებას „ხელი მოაწერეს წამების გამო“; მათ წაყენებული ბრალდებები უარყვეს. „ი.ო“-მ გააკეთა შემდეგი განცხადება: „მე საჩივარი შემაქვს პოლიციის იმ ოფიცრების წინააღმდეგ, ვინც მე მაწამა და ვინც... თავის თავს Dev-Sol-ის ჯგუფს უწოდებს“.

მოსამართლემ ბრძანა, ისინი საბოლოო სასამართლო პროცესამდე დაეკავებინათ, რადგან დაადგინა, რომ არსებობდა „არსებითი მტკიცებულებები“ Dev-Sol-ში მათი მონაწილეობის შესახებ და ამ ორგანიზაციის მიერ ჩადენილ ძალადობრივ აქტებში მათი მონაწილეობის თაობაზე.

შემდეგი კომენტარი, რაც მეოთხე დიკმეს მიერ იყო ხელმოწერილი, აღმოჩნდა ბრძანების ბოლოში: „მე არ მსურს, ვინმემ გაიგოს ჩემი პატიმრობის შესახებ“.

19. სტამბულის ციხეში გადაყვანის შემდეგ, პირველი განმცხადებელი ციხის ექიმმა იურისტის დასწრების გარეშე შეამოწმა. 1992 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ მის „წინასწარ“ ანგარიშში ექიმი აღნიშნავდა პირველი განმცხადებლის სხეულზე ნიშნების სერიის არსებობას. ეს აღმოჩენები, შესაბამისად, გამეორდა და დადასტურდა 1992 წლის 4 მარტის საბოლოო ანგარიშში, რომელიც დაიწერა სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ეიუპის სამსახურის სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ პირველი განმცხადებლის დამატებითი შემოწმების შემდეგ:

„მეოთხე დიკმეს თაობაზე ციხის ექიმის მიერ 1992 წლის 28 თებერვლის №55 ანგარიშის შესაბამისად... და მეოთხე დიკმეს შემოწმების შედეგად მოხდა შემდეგის დაფიქსირება:

[განიხილა] 0.5 სმ. დიამეტრის ფუფხი მარცხენა იდლიის მიდამოებში; 7-7 სმ.-ის ეროზია მარცხენა მუხლის არეში, რამაც წარმოშვა ფუფხი; ორი პარალელური წრიული დაზიანება, რომელმაც, თავის მხრივ, ნაწილობრივ შექმნა ფუფხი. მარცხენა მაჯაზე 4 სმ.-ის კანის ეროზია ცერა თითის მთლიან ბალიშზე, საჩვენებელ და შუა თითებზე, ასევე 1.5 სმ.-ის კანის აცლა მარცხენა ხელის შუა თითის მოშორებული ბალიშის შიდა მხარეს. ფუფხი მარჯვენა მაჯაზე; ფუფხი მარჯვენა იდაყვზე; ორი 0,5 სმ.-ის ზომის ფუფხი მარჯვენა გარეთა მხარზე, 1 სმ.-ის ზომის ფუფხი მესამე თითის მოშორებულ ბალიშზე, 0,5 სმ.-ის – შუა, მესამე და პატარა თითების მთლიან ბალიშებზე, მუხლის თავის უკან – 3 სმ., 1 სმ.-ისა და 3 სმ., 2 სმ.-ის სისქის. მარჯვენა ბარძაყის მიდამოებში – 10 სმ., 1 სმ. სისქის, 0.5 სმ.-ის სიგრძის და სისქის მარჯვენა ხელის შუაგულში და 0.5 სმ.-ის ზომის ხელის გულის გვერდითა ნაწილში; დაღურჯება რაზეც განვითარდა ფუფხი მარჯვენა ფეხის მესამე თითზე და 0.5 სმ.-ის ზომის ფუფხი დიდ თითზე; მარჯვენა ფეხის ზემოთა ნაწილზე 2-2 სმ.-ის ზომის კანის ეროზია; 2-2 სმ. ფუფხი ფეხის შუაგულში და 1-1 სმ. ფუფხი ფეხის გულის გვერდითა ნაწილში.

ასევე შეიმჩნევა გადაქერცვლის ნიშნები, რაც ნაწილობრივ გადაიზარდა ფუფხში და ნაწილობრივ გაქრა ისევე, როგორც მოყვითალო და მოყავისფრო დაზიანებები (რომელთა ზომებიც აღწერილი იყო წინა ანგარიშში), რომლებიც იბრუნებენ ნორმალურ ფერს ორივე ხელის თითებზე, ორივე ფეხის კოჭზე, იდაყვზე, მკლავებსა და მუხლებზე, ორივე ფეხის თითების ზემოთა ნაწილებში და მარჯვენა ბარძაყსა და მუხლის თავზე“.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი განცხადებით, ზემოთ აღნიშნული დაზიანებები არ იყო სიცოცხლისთვის საშიშრო და ადგენდა ხუთი დღის განმავლობაში გამომჯობინების შესაძლებლობას“.

20. 1992 წლის 11 ივნისს რელიგიური ფესტივალის, რამადანის ბოლო დღეს, ქ-ნმა დიკმემ მოისურვა პირველი განმცხადებლის მონახულება, მაგრამ ციხის მმართველებმა არ მისცეს ნებართვა.

21. 1992 წლის 18 ივნისს პირველმა განმცხადებელმა ხელი მოაწერა ადვოკატისთვის მისი სახელით საუბრის უფლებამოსილების მინიჭებას, თუმცა მას აღნიშნული იურისტი არ უნახავს (იხ. § 28).

ბ. სადავო სისხლის სამართლის პროცესი

22. 1992 წლის 7 სექტემბერს გამოცემულ დადგენილებაში საჯარო პროკურორმა პირველ განმცხადებელს და „ი.ო“-ს ბრალი დასდო 1990 და 1992 წლებს შორის სერიულ თავდასხმებში მონაწილეობაში, რომლის მსხვერპლთა შორისაც იყვნენ საჯარო პროკურორი, გადამდგარი გენერალი და ექვსი პოლიციის ოფიცერი. ასევე მათ ბრალი დასდეს უკანონო შეიარაღებული ირგანიზაციის *Dev-Sol*-ის სახელით ძალადობრივ ქმედობებში. სისხლის სამართლის 246-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მან მოითხოვა პირველი განმცხადებლისა და „ი.ო“-ს სიკვდილით დასჯა.

23. 1992 წლის 23 ოქტომბერს სასამართლო პროცესი დაიწყო ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოში. პირველმა განმცხადებელმა წარადგინა განცხადება, რომელშიც ის უარყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს და კატეგორიულად აპროტესტებდა პოლიციის მიერ საპატიმროში გაკეთებულ მისი განცხადებების ჩანაწერს, ვინაიდან, როგორც თავად მიუთითებდა, ეს განცხადებები წამების შედეგად იყო მოპოვებული. მან შესაბამისად, ოფიციალურად შეიტანა საჩივარი იმ პოლიციელების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ პოლიციის საპატიმროში მის მდგომარეობაზე და დაეკრძა 1992 წლის 4 მარტის სამედიცინო ანგარიშს (იხ. §§ 19, 29).

პირველმა განმცხადებელმა განაცხადა, *inter alia*, რომ ის და „ი.ო“ ყალბ პირადობის მოწმობებს იყენებდნენ, რადგან ეშინოდათ პოლიციის რეპრესიების, თავისი დის კრიმინალური წარსულის გამო, რომელიც ანკარაში პოლიციასთან შეტაკებისას მოკლეს; ისინი თავს ასაღებდნენ დაქორწინებულ წყვილად, რათა უფრო მარტივად ექირავათ ბინა. ასევე ის თავს უდანაშაულოდ აცხადებდა და გირაოს საფუძველზე გათავისუფლებას ითხოვდა.

24. 1993 წლის 8 იანვარს და 8 ოქტომბერს საჯარო პროკურორმა გამოყო ორი სხვა დადგენილება, რითაც პირველ განმცხადებელს ბრალად წაუყენა 1990 და 1992 წლების განმავლობაში: სხვა სახის ძალადობრივი ქმედობების ჩადენა, მათ შორის მკვლელობა, შეიარაღებული თავდასხმა, ქურდობა, დაბომბვა და შეურაცხყოფა.

25. 44 მოსმენის და დაახლოებით 70 მოწმის ჩვენების განხილვის შემდეგ, ეროვნულმა უსაფრთხოების სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 1998 წლის 26 ივნისს. გადაწყვეტილებაში ეწერა, რომ „მოცემული მტკიცებულებების საფუძველზე, დადგინდა ბრალდებულის ბრალეულობა იმ რამდენიმე დანაშაულში, რაც მან ჩაიდინა *Dev-Sol*-ის სახელით კონსტიტუციური წყობის დასანგრევად და მიესაჯა სიკვდილით დასჯა, მიიღო რა მხედველობაში ჩადენილი დანაშაულების ინტენსიურობა, სისშირე და სერიოზულობა, გაითვალისწინა რა სასამართლო პროცესზე მისი მხრიდან სინანულის გამოხატვის არარსებობა.

26. პირველი განმცხადებლის კონსულტანტმა და სახელმწიფოს მთავარმა მრჩეველმა 1998 წლის 29 სექტემბერს და 12 ნოემბერს, მითითებული კანონის მიხედვით, საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრეს ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივარში პირველი განმცხადებლის კონსულტანტს არაფერი გაუკეთებია, გარდა სანქციის გასაჩივრებისა, როგორც „უსამართლოსა და სასტიკის“, მაშინ, როცა სახელმწიფოს მთავარმა მრჩეველმა განაცხადა, რომ სადავო გადაწყვეტილება არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც საჭირო საფუძველებით გამყარებული, რადგან ის არ მოიცავდა მტკიცებულებების იმ საჭირო დეტალებს, რაზეც ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს მიერ შეფასებული მტკიცებულებების თანახმად ბრალდება იყო დაფუძნებული.

27. 1999 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში, რომელიც 1999 წლის 7 აპრილს გამოიცა, საკასაციო სასამართლომ შეცვალა 1998 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ ის „ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 141-ე მუხლს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე და 260-ე მუხლებს, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების გამოტანას გადაწყვეტილების შესახებ წესის გამოყენების გარეშე, რომელიც უნდა შეფასდეს იმ ფორმით, რომ საკასაციო სასამართლოს არ ღარჩეს მისი მოსაზრებების გამოვლენის შესაძლებლობა ყოველ წაყენებულ ბრალთან დაკავშირებით, მისი დამადასტურებელი, არსებული მტკიცებულებების მიმართ მოქმედი დებულებების მითითების გარეშე...“
შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ საქმე ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს დაუბრუნა, სადაც ის ისევ მოლოდინშია.

2. ცუდად მოპყრობაში ბრალდებული პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ მიმართული პროცედურა

28. პირველმა განმცხადებელმა და „ი.ო“-მ, 1992 წლის 23 ოქტომბერს ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოში თავდაცვის შემდეგ (იხ. § 23), მწამებლების წინააღმდეგ ორი განცალკევებული წერილობითი საჩივარი შეიტანეს. 1992 წლის 27 ნოემბერს ამ თვალსაზრისით, სამინისტროდან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით, საჯარო პროკურორმა გადაწყვიტა დაკავშირებოდა შესაბამის მოხელეებს, რათა გაერკვია, რამდენად ჰქონდა პირველ განმცხადებელს დაშვება იურისტზე პოლიციის საპატიმროში და/ან დაქვემდებარა თუ არა ცუდად მოპყრობას სტამბულის პოლიციაში გადაყვანის შემდეგ. 30 ნოემბრით დათარიღებულ წერილში განყოფილების ხელმძღვანელი პასუხობდა, რომ „არანაირი გასაუბრება იურისტთან არ ყოფილა, ვინაიდან პოლიციის საპატიმროში მეთინ დიკმეს ყოფნის პერიოდში, ამის თაობაზე, არც ერთ იურისტს არ წარმოუდგენია მოთხოვნა“. 1992 წლის 1 დეკემბერს სტამბულის ციხის მმართველმა განაცხადა: „მეთინ დიკმე არ დაქვემდებარებია ცუდად მოპყრობას დაკავების პერიოდში და ამასთან დაკავშირებით ჩვენს ხელმძღვანელობასთან არასოდეს შემოუტანია საჩივარი. ჩვენს ციხეში ყოფნის განმავლობაში ის არ მდგარა ცუდად მოპყრობის რისკის ქვეშ. ჩვენი მასალებიდან ასევე დადგენილია, რომ მას არასოდეს მოუთხოვია იურისტი“.

29. 1992 წლის 8 დეკემბერს ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს პრეზიდენტმა 1992 წლის 23 ოქტომბრის საჩივრის მასალები შემდგომი მოქმედებისთვის საჯარო პროკურორს გადაუგზავნა.

30. 1992 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით, საჯარო პროკურორმა დაადგინა, რომ მას არ ჰქონდა იურისდიქცია *ratione materiae* და საქმე გადაუგზავნა სტამბულის პრეფექტურას, ტერორიზმის თავიდან აცილების აქტის მე-15 (3) ნაწილის შესაბამისად (კანონი №3713 – იხ. § 36).

31. 1993 წლის 9 ივლისს სტამბულის პროვინციის ადმინისტრაციულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ არსებობდა პირველი განმცხადებლისა და „ი.ო“-ს საჩივარზე პასუხის გასაცემი საქმე. ეს გადაწყვეტილება პირველ განმცხადებელს მიეწოდა 1993 წლის 6 აგვისტოს.

32. ამ პროცესებთან დაკავშირებით სასამართლოს არ გააჩნია რაიმე სხვა ინფორმაცია.

II. შესაბამისი აღბილობრივი სამართალი

ა. პოლიციის საპატიმროში დაკავების წესები

33. საქმის მასალების დროს ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოების №2845 კანონის მე-16 ნაწილი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი დაპატიმრებული პირი, რომელზეც ექსკლუზიური იურისდიქცია აქვთ ზემოთ აღნიშნულ სასამართლოებს, მოსამართლეს უნდა წარუდგინონ დაკავებიდან არაუგვიანეს ორმოცდარვა საათისა, ან იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილი იყო რეგიონის გარეთ, საგანგებო შემთხვევებში მოქმედი წესის შესაბამისად, თხუთმეტი დღის განმავლობაში, დაკავებულის ტრანსპორტირების დროის გარეშე.

34. დაპატიმრებულ პირს პოლიციის ოფიცრებმა დაკითხვამდე უნდა აცნობონ იმ დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენაშიც არის ეჭვმიტანილი და ჰკითხონ, აქვს თუ არა პასუხის გაცემის სურვილი. სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 144-ე მუხლი მსგავს საქმეებში ითვალისწინებს, რომ დაკავებულს იურისტის მოთხოვნის ან მასთან კონსულტაციის შესაძლებლობა უნდა მიეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დააკავებენ სასამართლო პროცესის მოლოდინში და მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ის მასალები, რომლებიც მიიწვევა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად, არ მიეწოდოს ბრალდებულს, სანამ არ მოხდება სისხლის სამართლის წარმოების დაწყება. დამატებით, სამართლებრივ კონსულტანტს არ შეუძლია საქმის მასალების ნახვა, სანამ საჯარო პროკურორის სამსახური არ გამოსცემს შესაბამის დადგენილებას (მუხლი 143).

ბ. ცუდად მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებული გამოძიება

35. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულად ითვლება სახელმწიფო მოხელის მიერ პირის წამება, ან მის მიმართ ცუდად მოპყრობა (წამებასთან დაკავშირებით მუხლი 243-ე და ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით მუხლი 245-ე). ხელისუფლების ვალდებულება მსგავსი ქმედობის, ან უმოქმედობის თაობაზე, რაც წინასწარი გამოძიების ჩატარების მიზნით უნდა მიეწოდოს კომპეტენტურ ორგანოებს, განისაზღვრება სსსკ-ს 151 – 153-ე მუხლებით. დანაშაულის შესახებ უნდა ეცნობოს არა მარტო საჯარო პროკურორის სამსახურს ან უსაფრთხოების ძალებს, არამედ ასევე ადგილობრივ ადმინისტრაციულ ხელისუფლებას. საჩივარი შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი. თუ საჩივარი ზეპირად არის გაკეთებული, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს მისი ჩაწერა (მუხლი 151-ე).

სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე, რომელიც პოლიციას ან საჯარო პროკურორის სამსახურს არ შეატყობინებს იმ დანაშაულის შესახებ, რაც მისთვის ცნობილი გახდა მისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს, ექვემდებარება პატიმრობას. საჯარო პროკურორი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მიიღებს ინფორმაციას, რომელიც იძლევა დანაშაულში ეჭვის მიტანის საფუძველს, ვალდებულია გამოიძიოს ფაქტი და გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო სამართლებრივი დევნის დაწყება (სსსკ-ის 153-ე მუხლი).

36. თუ ეჭვმიტანილი პირი არის სამოქალაქო მოსამსახურე და დანაშაული ჩაიდინა მისი მოვალეობების შესრულებისას, საქმის წინასწარ გამოძიება ემყარება სამოქალაქო მოსამსახურეების ბრალდების აქტს 1914, რომელიც ზღუდავს საჯარო პროკურორის იურისდიქციას *ratione personae* საქმისწარმოების ამ ეტაპზე. ასეთ შემთხვევებში, შესაბამის ადგილობრივ ადმინისტრაციულ საბჭოებს ევალებათ წინასწარი გამოძიების ჩატარება და სამართლებრივი დევნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. როდესაც სამართლებრივ დევნაზე გადაწყვეტილება მიიღება, საჯარო პროკურორს ევალება საქმის გამოძიება. ადგილობრივი ადმინისტრაციული საბჭოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. თუ მიიღება

გადაწყვეტილება სამართლებრივი დევნის აღძვრის აუცილებლობის არარსებობის შესახებ, საქმე ავტომატურად გადაეცემა სასამართლოს.

პოლიციის ძალებისა და კონტრდაზვერვის სამსახურების წევრების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები, მაგ., როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, 33713 კანონის მე-15 (3) ნაწილი, რომელიც ძალაში იყო საქმისწარმოების დროს, იყო *lex specialis*, რომლის საფუძველზეც წინასწარი გამოძიება ექვემდებარებოდა იურისდიქციის იმავე წესს ეველა საქმეზე, მკვლელობის გარდა. შესაბამისად, 1992 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნული დებულება, რომელიც გამოქვეყნდა 1993 წლის 27 იანვარს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, კონსტიტუციურმა სასამართლომ 1993 წლის 27 ივლისს გააუქმა.

37. ზემოთ აღნიშნულ 243-ე და 245-ე მუხლებთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად დადგენილია ხუთწლიანი დროის ზღვარი.

გ. წინასწარი გამოძიებისას შეგროვებული მტკიცებულებების დამაჯერებლობის შეფასება

38. თურქეთის სასამართლოების მიერ დადგენილი პრინციპებიდან, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართალში, ნათელია, რომ ეჭვმიტანილის დაკითხვა არის არა მის წინააღმდეგ მტკიცებულებების მიღების ზომა, არამედ მისთვის თავის დაცვის საშუალების მიცემა, რამაც უნდა იმუშაოს მის მხარდასაჭერად. დაკითხვის დროს წარმოთქმული, რომელიც ნებაყოფლობით უნდა იყოს გაკეთებული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსამართლის მიერ საქმის გარემოებების შეფასებისას. იძულებით ან დაჟინებით მიღებული განცხადებები არ მიიღება როგორც მტკიცებულება. სსსკ-ის 247-ე მუხლის მიხედვით, როგორც საკასაციო სასამართლომ განმარტა, პოლიციისათვის, ან საჯარო პროკურორისათვის მიცემული ნებისმიერი აღიარების გამეორება უნდა მოხდეს მოსამართლის წინაშე, თუ დაკითხვაზე მის მიერ გაკეთებული განცხადებები ბრალდებაში გამოიყენება მტკიცებულებების სახით. თუ აღიარების გამეორება არ მოხდება, არ შეიძლება დაკითხვის ჩანაწერების გამოყენება სასამართლოში მტკიცებულებების სახით და შესაბამისად, არ შეიძლება მათზე დაყრდნობა ბრალდების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, თუნდაც სასამართლოში გამეორებული აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტ მტკიცებულებად და უნდა იყოს გამყარებული დამატებითი მტკიცებულებებით.

სამართალი

I. საქმის მოცულობა

39. განმცხადებლების კონსულტანტმა მის პეტიციაშიც და შესაბამისად მოსმენაზეც, გაიზიარა რა კომისიის აზრი, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (გ) პუნქტები, ცდილობდა დაეჯერებინა სასამართლო, რომ ასევე დაირღვა მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი პირველი განმცხადებლის შემთხვევაში, ხოლო მე-8 მუხლი – მეორე განმცხადებელთან მიმართებით.

40. მთავრობამ, როგორც პეტიციაში, ისე მოსმენაზე მოსთხოვა სასამართლოს, არ ეცნო განცხადება დაშვებულად, ვინაიდან არ იყო ამოწურული შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები და არ შეესაბამებოდა დადგენილ ექვსთვიან წესს. ალტერნატივის სახით, საქმის გარემოებებთან დაკავშირებით მათ განაცხადეს, რომ საქმის გარემოებები არ იწვევდა იმ მუხლების დარღვევას, რომლებსაც ეყრდნობოდა განმცხადებელი.

II. მთავრობის წინასწარი პრეზენტაცია

ა. მთავრობის განცხადებები

41. მთავრობა განცხადების დაშვებადობას ორი საფუძველით აპროტესტებდა:

1. შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვისაგან თავის არიდება

42. მათი პირველი პრეტენზია, დაყოფილი ოთხ ნაწილად, იყო ის, რომ შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები არ იყო ამუშურული.

პირველი, განმცხადებელს ადგილობრივ სასამართლოებში პროცესის არც ერთ სტადიაზე არ გაუკეთებია მითითება, თუნდაც არსებითად კონვენციით გათვალისწინებულ იმ უფლებებზე, რომლებსაც ის ეყრდნობოდა სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, სასამართლოს არ შეეძლო მოცემული საქმის განხილვა, თუ ის მიყვებოდა 1996 წლის 15 ნოემბრის საქმეში „აჰმეთ სადიკი საბერძნეთის წინააღმდეგ“ დადაგენილ წესს (გადაწყვეტილებების ანგარიშები და გადაწყვეტილებები 1996-V).

მეორე, კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, განცხადება იყო მოუმზადებელი, რადგან შეტანილი იყო პოლიციის საპატიმროში განმცხადებლის ყოფნის პერიოდზე პასუხისმგებელი პოლიციელების წინააღმდეგ თურქეთში მიმდინარე პროცესის დამთავრებამდე (იხ. §§ 2, 28 და §31).

მესამე, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (გ) პუნქტების წინააღმდეგ საჩივარი ასევე ნაადრევი იყო, რადგან პირველი განმცხადებლის სასამართლო პროცესი ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოში ისევ მოლოდინში იყო (იხ. § 27).

მეოთხე, №3713 კანონის მე-15 (3) ნაწილის გაუქმების შემდეგ (იხ. § 36), ბ-ნ დიკმეს ჰქონდა შესაძლებლობა, ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით, საჯარო პროკურორთან ახალი საჩივარი შეეტანა.

2. ექვსთვიანი წესის გამოყენების შეუხრულებლობა

43. მთავრობამ შემდეგ განაცხადა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის საფუძველზე გასაჩივრება მოხდა 1992 წლის 26 თებერვლისთვის – პოლიციის საპატიმროში ბ-ნ დიკმეს ყოფნის ბოლო დღეს და ამდენად ექვსთვიანი ვადა უნდა ათვალოს ამ დღიდან. ამასთან დაკავშირებით, ისინი აღნიშნავენ, რომ კომისიის 1998 წლის 3 მარტის წერილში, გააცნობიერა რა ექვსთვიან წესთან დაკავშირებული პრობლემები (რაც უკვე განხილულ იქნა დაშვებადობის ეტაპზე – იხ. § 3), მოიწვია მხარეები, რათა წარმოედგინათ მოსაზრებები, რამდენად დროულად იყო განცხადება შეტანილი, მე-5 მუხლის შესაბამისად. თუმცა მის ანგარიშში კომისიამ უგულებელყო საქმის ეს ასპექტი და ის შესაბამისი არგუმენტაცია, რაც მთავრობამ წარადგინა 1998 წლის 31 მარტს. აღნიშნა რა ეს, როგორც დადგენილია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, მთავრობა დავობდა, რომ კომისიის მიდგომა არ უნდა ყოფილიყო სასამართლოსთვის 35-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოება, მას შეეძლო ამ დებულების გამოყენება და საქმის დაშვებადობაზე უარის თქმა საკუთარი ინიციატივით. მათი პრეტენზია სამ ნაწილად იყო გაყოფილი.

კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ, მთავრობა აცხადებს, რომ არც საჯარო პროკურორს და არც ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს მოსამართლეს არ მიუღიათ რაიმე ზომა ბ-ნ დიკმეს მიერ 1992 წლის 26 თებერვალს მითითებულ ცუდად მოპყრობაზე (იხ. § 18). ბ-ნ დიკმეს, შესაბამისად, უნდა დაედგინა, რომ მისი მითითებების გამოძიება არ მოხდებოდა და კომისიაში საჩივარი უნდა შეეტანა არაუგვიანეს 1992 წლის 26 აგვისტოსი.

მთავრობა ასევე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გასაჩივრების ვადა ამოწურული იყო. ექვსთვიანი პერიოდი დაიწყო 1992 წლის 26 თებერვალს, როდესაც ბ-ნ დიკმეს დაკავება პოლიციის საპატიმროში მოხდა კანონიერად და არანაირი მექანიზმი არ იქნებოდა ეფექტური მისი შეცვლისათვის.

იგივე ეხებოდა პირველი განმცხადებლის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციის საპატიმროში ყოფნისას მას არ ჰქონდა დაშვება იურისტზე, რადგან ამ საქმისთვის არსებით დროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლეოდა ასეთ შესაძლებლობას იმ პირებისათვის, ვინც დაკავებული იყვნენ ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოების იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების გამო.

ბ. სასამართლოს შეფასება

44. დასაწყისში სასამართლო აღნიშნავს, რომ მას აქვს იურისდიქცია, მხედველობაში მიიღოს ასეთი სახის წინასწარი საქმეები, იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე მხარე აღძრავს მათ კომისიის წინაშე იმ დონეზე, რაც დასაშვებია მათი ხასიათითა და გარემოებებით; თუ ეს პირობა არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ მოხდება სასამართლოში საქმის აღძვრაზე მთავრობის შეჩერება (იხ. სხვა მრავალ ხელისუფალთ შორის, *დე უაილდი, რომსისა და ვერსიპის* 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებები, სერია ა, №12, გვერდები 29-31, პუნქტები 47-55 და *კიულა იტალიის წინააღმდეგ* 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია 1, № 148, გვ. 14, პუნქტი 28). მოცემულ საქმეში ეს პირობა აშკარად არ არის დაკმაყოფილებული კონვენციის 35-ე მუხლის საფუძველზე დაშვებადობის თაობაზე მთავრობის განცხადებებთან დაკავშირებით (იხ. §§ 42, 43).

სასამართლო განიხილავს, რომ მთავრობას ორჯერ გაუგრძელდა მიცემული ვადა განცხადების დაშვებადობაზე მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. როგორც ჩანს, მათ კომენტარი არ გააკეთეს ამ საკითხზე, სანამ კომისიამ 1994 წლის 17 ოქტომბერს დაშვებადობაზე გადაწყვეტილება არ მიიღო.

45. უნდა აღინიშნოს, რომ დაშვებადობაზე პრეტენზიას აჩქარებს გადაწყვეტილება განცხადების მიღებაზე. მაგალითად, ცვლილებამ შიდა სახელმწიფოებრივ პრეცედენტულ სამართალში შეიძლება გამოაჩინოს არსებულ დრომდე უცნობი მექანიზმი, ან განმცხადებელმა შეიძლება ჩამოაყალიბოს ახალი საჩივარი, რომლის დაშვებადობის გაპროტესტების შესაძლებლობაც მთავრობას ჯერ არ ექნება (იხ. სხვა ხელისუფალთ შორის *არტიკო იტალიის წინააღმდეგ*, 1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, სერია ა, №37, გვერდები 13-14, პუნქტი 27). ასევე, საწინააღმდეგო პროცედურის განხილვის საკითხმა და ძალთა თანასწორობამ შეიძლება საჭირო გახადოს მთავრობისთვის, დროის გასვლის მიუხედავად, პრეტენზიის გამოთქმის ნებართვის მიცემა, მაგალითად, როდესაც კომისია საკუთარი ინიციატივით წინასწარ განიხილავს იმ საკითხს, რომელიც რესპოდენტი სახელმწიფოს მიერ არ იყო მის წინაშე წამოწეული (იხ. *თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პარტია თურქეთის წინააღმდეგ* [GC], №23885/94, პუნქტი 25, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1999-VIII).

ვინაიდან მოცემული საქმე არ იყო აღნიშნულ კატეგორიაში, მოხდა აღნიშნული პრეტენზიების წამოწევისაგან მთავრობის შეჩერება.

46. მიუხედავად აღნიშნულისა, მთავრობა მაინც საწინააღმდეგოს ამტკიცებდა და მიუთითებდა კომისიისათვის 1998 წლის 31 მარტს წარდგენილ წერილობით განხილვებზე. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ანგარიში აღნიშნავს ამ საკითხს, მთავრობა მოითხოვს მათ მიმოხილვებში ორი არგუმენტის ჩართვას ზემოთ აღნიშნული პრეტენზიების მეორე ნაწილთან დაკავშირებით: პირველი, რომ მე-3 მუხლის დარღვევაზე მითითებები

გაკეთდა მოუმზადებლად (იხ. § 42); და მეორე, საჩივარი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით შეტანილია ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ (იხ. § 43). ამ ფაქტზე მითითებით კომისიამ, მისი პირადი მოტივაციით, მოიწვია მთავრობა, რათა წარედგინა მოსაზრებები, იყო თუ არა დაცული ექსპოზიანი დროის ზღვარი, კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, საჩივრის შეტანისას იმ მიზნით, რომ გამოიყენებდა კონვენციის ყოფილ 29-ე მუხლს, რომელიც შეიცვალა რა №8³ ოქმით, აძლევდა უფლებას კომისიას განსაკუთრებულ შემთხვევებში, მისი წევრების ორი მესამედის უმრავლესობით, შეეცვალა განცხადების დაშვებულად ცნობის გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, საჭირო უმრავლესობის არარსებობის გამო, კომისიამ საბოლოოდ არ გამოიყენა ეს დებულება (იხ. § 3).

47. მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის ძველი ტექსტის III და IV ნაწილის მიერ დაცვითი მექანიზმის სტრუქტურა შეიქმნა იმისათვის, რომ უზრუნველყო კომისიისა და ყოფილი სასამართლოს წინაშე პროცესის ლოგიკურობა და ორგანიზებულობა; კომისიისათვის ყოფილი 26-ე და 27-ე მუხლებით მიწერილი გაფილტვრის ფუნქცია იყო მისი ერთ-ერთი პირველი მოვალეობა (იხ. *mutatis mutandis*, ზემოთ აღნიშნული *არტიკოს* გადაწყვეტილება, *ibid.*).

№11 ოქმის მე-5 მუხლის პირობების მიხედვით, ისეთი განცხადებების განხილვის პროცედურა, როგორიც არის მოცემული საქმე, რომელთან დაკავშირებითაც კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში 1998 წლის 1 ნოემბრის შემდეგ (კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლი), რიცხვში, როდესაც ძალაში შევიდა №11 ოქმი, მოქმედებს ამ თარიღამდე გამოყენებადი დებულებებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში, მისი მხრიდან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოფილი 29-ე მუხლის მიზანი და კერძოდ, კვალიფიციური უმრავლესობის შესახებ მისი მოთხოვნები: „ამ პირობის სიმკაცრე, რომელიც აღნიშნავს უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებიდან გამოსვლას... აცხადებს, რომ კონვენციის არსი მოითხოვს, რომ რესპოდენტმა სახელმწიფომ ნორმალურად აღძრას მათი წინასწარი პრეტენზია დაშვებადობის თაობაზე პირველადი განხილვის დროს, რისი უგულებელყოფის შემთხვევაშიც მოხდება მისი შეჩერება“ (*ibid.*).

48. ეს ასე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიას ჰქონდა შესაძლებლობა დაფიქრებულიყო ყოფილი 29-ე მუხლის გამოყენების თაობაზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ, რომელიც იცდიდა 1998 წლის 31 მარტამდე, იმისათვის, რომ ედავა ცუდად მოპყრობის შესახებ შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის თაობაზე და საპატიმროში გადაჭარბებული ვადით ყოფნის ფაქტის ექვსი თვის ვადაში გასაჩივრების შესახებ (იხ. § 46), არ შეიძლება სასამართლოსათვის მიმართვით აღდგენილად ჩაითვალოს, მარტივი უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უპირატესობები, რომლებიც მათ დაკარგეს დაშვებადობის ეტაპზე. №11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს წინაშე წარდგენილი საქმის სხვაგვარად განხილვა შეუთავსებელი იქნება კონვენციის სტრუქტურასთან და სამართლიანობის მართებულად განხორციელებასთან.

49. შესაბამისად, სასამართლომ უარყო მთავრობის წინასწარი პრეტენზია.

III. კონვენციის მე-5 მუხლის მითითებული დარღვევა

50. პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ მოხდა მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დარღვევა, რომელთა შესაბამისი ნაწილებიც ითვალისწინებს:

„1. ყველას აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის წაერთმევა თავისუფლება, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

...

გ. პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რომ მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

...

2. ყველა დაპატიმრებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ დაპატიმრების მიზეზებსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს.

3. ამ მუხლის 1. გ. პარაგრაფის დებულებების შესაბამისად, დაპატიმრებული ან დაკავებული ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სხვა მოხელეს, უფლებამოსილს გამოიყენოს სასამართლო ხელისუფლება და მას უფლება მიეცემა ჩატარდეს სასამართლო გონივრულ ვადებში ან გათავისუფლდეს სასამართლომდე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლოში მოსვლის გარანტიებით“.

ა. კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი

51. სასამართლოს მიმართ თავის პეტიციაში პირველმა განმცხადებელმა განაცხადა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საწინააღმდეგოდ არ მოხდა მისი ინფორმირება დაპატიმრების მიზეზებისა და ბრალდებების შესახებ. მოსმენაზე მისმა კონსულტანტმა განაცხადა, რომ ის კომენტარები, რასაც პოლიციის ოფიცრები და საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები (იხ. §§ 12, 13) ბ-ნ ღიკმეს მისამართით იყენებდნენ მაშინ, როცა პირველად აწამებდნენ მას რამდენიმე საათის განმავლობაში, იყო უბრალოდ შემაშინებელი დატვირთვის და არანაირად არ ჰქონდა მისი დაკავების დამაჩქარებელი მიზეზების, ან ბრალის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზანი.

52. კომისიამ, რომლის მოსაზრებაც გაითვალისწინა მთავრობამ განაცხადა, რომ საქმის გარემოებები არ იწვევდა დასმული დებულებების დარღვევას.

53. შესაბამისი პრინციპები, რაც გამოიყენება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ინტერპრეტაციასა და გამოყენებისას, დადგენილი იყო საქმეში *ფოქსი, კემპელი და პართლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* 1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებაში (სერია ა, №182, გვ. 19, პუნქტი 40):

„მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს ელემენტარულ დაცვას, რომ ნებისმიერმა დაპატიმრებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რატომ ჩამოერთვა თავისუფლება. ეს დებულება არის მე-5 მუხლით მოცემული დაცვითი სქემის არსებითი ნაწილი: მე-2 პარაგრაფის ძალით, ნებისმიერ დაპატიმრებულ ადამიანს უნდა ეცნობოს მარტივი, არატექნიკური ენით, რომლის გაგებაც მას შეუძლია, მისი დაპატიმრების ლეგალური და ფაქტობრივი საფუძვლების თაობაზე, იმისათვის რომ ჰქონდეს შესაძლებლობა, თუ ის ასე მიიჩნევს, მიმართოს სასამართლოს. რათა მე-4 პარაგრაფის შესაბამისად,

გადაიხედოს მისი დაკავების კანონიერება ... მაშინ, როცა ეს ინფორმაცია უნდა გადაეცეს „სწრაფად“ (ფრანგულად „dans le plus court delai“), არ არის საჭირო, რომ ეს არსებითად დაკავშირებული იყოს დაკავების მომენტში დაკავების განმახორციელებელ ოფიცერთან. რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის კონტექსტი და მიწოდების სისწრაფე, თითოეულ საქმეში უნდა შეფასდეს მისი სპეციალური მახასიათებლების მიხედვით“.

ამ საქმეში, ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავების მიზეზების თაობაზე განმცხადებლის ინფორმირება მოხდა დაკითხვის დროს (დაკავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ). ეს, შესაბამისად, ნიშნავს, რომ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი დაკმაყოფილებული იყო (ibid., გვ. 129-20, პუნქტები 41-43).

54. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებლის დაკავების მიზეზი იყო, პოლიციის მიერ ვინაობის შემოწმებისას ყალბი დოკუმენტების წარმოდგენა. ის მიიჩნევს, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ქმედობის კრიმინალურ და განზრახ ხასიათს, პირველ განმცხადებელს არ აქვს საფუძველი განაცხადოს, რომ ვერ გაიგო მიზეზი, რატომაც მოხდა მისი დაპატიმრება და პოლიციის განყოფილებაში წაყვანა 1992 წლის 10 თებერვალს 7 საათსა და 30 წუთზე (იხ. § 12).

იგივე გამოიყენება იმ მიზეზებთან დაკავშირებითაც რის გამოც მოხდა პირველი განმცხადებლის შეჩერება პოლიციის განყოფილებაში, შემდგომ გადაყვანა პოლიციის საპატიმროში, სადაც მითითებისამებრ, ვინაობის დადგენის მიზნით მოხდა მისი დაკითხვა (იხ. § 12).

55. რაც შეეხება დანარჩენს, პირველი განმცხადებელი აცხადებდა, რომ მისი დაკითხვა მიმდინარეობდა პოლიციის საპატიმროში ყოფნის თექვსმეტი დღის განმავლობაში. ის მიუთითებდა, რომ ოფიცრები, რომლებმაც დაიწყეს დაკითხვა, იყვნენ „ანტიDev-Sol“-ის ჯგუფის წევრები (იხ. § 12) და პირველი დაკითხვის სესიის შემდეგ, დაახლოებით 7 საათზე, საიდუმლო სამსახურის წევრმა მას მუქარით უთხრა: „შენ ეკუთვნი *Devrimci sol*-ს და თუ არ მოგვცემ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას, შენ პირველ რიგში აქ ფეხებს დატოვებ!“ (იხ. § 13)

56. „სასამართლოს აზრით, ეს განცხადებები იძლევა საკმაოდ საგულისხმო ინფორმაციას პირველი განმცხადებლის ეჭმიტანილად დაკავების შესახებ. აქედან გამომდინარე და მოცემული ორგანიზაციის არალეგალური ხასიათის და იმ მიზეზების გათვალისწინებით, რატომაც მოახდინა მან მისი ვინაობის დამალვა, ასევე პოლიციის მიმართ შიში (მისი და მოკლულ იქნა პოლიციასთან შეტაკებისას – იხ. § 23), სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნმა დიკემ ამ ეტაპზე იცოდა, ან უნდა გაეაზრებინა, რომ ის იყო ეჭმიტანილი ისეთ აკრძალულ საქმიანობაში, როგორიცაა *Dev-Sol*-ის მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იძლევა მოცემული საქმიდან შემდგომი დაკითხვის დეტალებს ან ინფორმაციას დროსთან დაკავშირებით, წაიკითხა რა საჯარო პროკურორის დადგენილება, სასამართლო მაინც კმაყოფილია (§§ 22, 24) – ბ-ნი დიკემ დაიკითხა *Dev-Sol*-ში მისი შესაძლო წევრობის და ამ ორგანიზაციისათვის მიწერილ კრიმინალურ ქმედობებში შესაძლო მონაწილეობის თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, დაკითხვების ინტენსიურობა და სიხშირე ასევე გულისხმობს, რომ პირველი სესიის დროს, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 7 საათამდე თუ ოდნავ მეტ ხანს, ბ-ნი დიკემს შეეძლო გასჩენოდა აზრი, თუ რაში იყო იგი ეჭმიტანილი (იხ. *mutatis mutandis*, ქერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (dec.), №40451/98, 1999 წლის 7 დეკემბერი, სასამართლო გადაწყვეტილებების ანგარიშებში არმყოფი). მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სისწრაფის გაგებიდან გამომდინარე, დროის მონაკვეთის განსაზღვრაში (იხ. *mutatis mutandis*, ფოქსი, კემპელი და ჰარტლი ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები, გვ. 19-

20, პუნქტი 42) გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსაკუთრებით, რომ პირველმა განმცხადებელმა გარკვეულად თავად შეუწყო ხელი საქმის დროში გაწელვას მისი ვინაობის დამალვით.

57. დასკვნის სახით, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

ბ. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი

1. სასამართლოსთვის წარდგინებები

58. პირველი განმცხადებელი, რომლის აზრის დადასტურებაც მოახდინა კომისიამ, აცხადებდა, რომ სამართლებრივი გადაწყვეტილებისათვის მოსამართლის, ან სხვა უფლებამოსილი პირის წინაშე მისი წარდგენა არ მოხდა „სწრაფად“, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

59. მთავრობამ, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა არგუმენტს, რომ საჩივრის შეტანა მოხდა დადგენილი დროის გასვლის შემდეგ, უპასუხა, რომ ბ-ნ დიკმეს დაკავება და პატიმრობა გამართლებული იყო იმ დანაშაულების სერიოზული ხასიათით, რომელთა ჩადენაშიც იგი იყო ეჭვმიტანილი. მათ განმარტეს, რომ ის ზომები, რომლებიც მათ მიიღეს როგორც გამოძიების ნაწილი, რომელიც ჩაატარა სტამბულის პოლიციამ ტერორისტული ორგანიზაციის *Devrimci Soli*-ს წინააღმდეგ, სრულ შესაბამისობაში იყო იმ დროს მოქმედ კანონმდებლობასთან, რომლის საფუძველზეც პოლიციის საპატიმროში დაკავება, ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში, შეიძლება გაგრძელდეს თხუთმეტ დღემდე. დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილი იყო ბ-ნი დიკმე, კერძოდ, „უკანონო ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა“, ამ კატეგორიაში ხვდებოდა. მთავრობა მიუთითებდა ტერორისტების ქსელთან ბრძოლის გარკვეულ პრობლემებზე. როგორც აღნიშნავენ ვალდებულება იყო განსაკუთრებით რთული შესასრულებელი, რადგან პოლიციის მიერ ჩატარებული გრძელი და მკაცრი გამოძიება მოიცავდა დიდი რაოდენობის მოწმეების დაკითხვას და რამდენიმე ეჭვმიტანილის დაპირისპირებას, ასევე საჭირო იყო მომხდარიყო მტკიცებულებების შეკრება და შეფასება, რათა მომხდარიყო ფაქტებისა და პასუხისმგებელი პირების დადგენა.

მთავრობა ასევე ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიება ყურადღებას ამახვილებს *Dev-Sol*-ის სხვადასხვა, სავარაუდო წევრებს შორის კავშირებზე. აღნიშნულ პირებს შორის კავშირებისა და ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ძალადობრივი აქტების ჩადენის დადასტურება ხშირად სწორედ ეჭვმიტანილების დაკითხვის საფუძველზე ხდება. მთავრობის განცხადებებში ეს იყო პოლიციის საპატიმროში ბ-ნ დიკმეს დაკავების გაჭიანურების მიზეზი.

დაბოლოს, მთავრობამ აცნობა სასამართლოს, რომ თურქეთში პოლიციის საპატიმროში დაკავების ნებადართული პერიოდი შემცირდა „გონივრულ ვადამდე“ 1997 წლის 12 მარტს №4229 კანონის ძალაში შესვლის შემდგომ.

2. სასამართლოს შეფასება

60. სადავო არ არის, რომ ბ-ნ დიკმეს პოლიციის საპატიმროში დაკავება დაიწყო მისი დაპატიმრებით 1992 წლის 10 თებერვალს 7 საათსა და 30 წუთზე და დასრულდა 1992 წლის 26 თებერვალს, როდესაც ის წარსდგა ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს მოსამართლის წინაშე (იხ. §§ 12 და 18).

61. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განიხილავს, რომ მთავრობა პირველ რიგში ამტკიცებდა გამოყენებული ზომის კანონიერებას. თუმცა, უბრალო ფაქტი, რომ პოლიციის

საპატიმროში დაკავების პერიოდი აბსოლუტურად ჯდება ადგილობრივი სამართლის ჩარჩოებში არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ არის პასუხისმგებელი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ბრალდებული „სწრაფად“ წარუდგინოს სასამართლოს.

62. სასამართლო ასევე აღნიშნავს თურქეთის მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რის საფუძველზეც, ხდება ადგილობრივი სამართლის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობაში მოყვანა. თუმცა ის მიუთითებს, რომ მისი ვადლებულებაა, უბრალოდ შეაფასოს მის წინაშე არსებული საქმის გარემოებები. მის წინაშე არსებული ერთადერთი განსახილველი ფაქტი არის ის, რომ დაკავება გაგრძელდა 16 დღეს (იხ. § 60), რომლის განმავლობაშიც ბ-ნ დიკმეს ჩამორთმეული ჰქონდა ეველანაირი კონტაქტი გარესამყაროსთან და არ ჰქონდა არანაირი დაშვება მოსამართლესა თუ სხვა სასამართლო მოხელეზე.

63. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს საქმეზე „ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელშიც დადგინდა, რომ სასამართლოს გარეშე პოლიციის საპატიმროში დაკავება ოთხი დღისა და ექვსი საათის განმავლობაში ხდებოდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაშვებული მკაცრი საზღვრის გარეთ, თუნდაც ეს მომხდარიყო ტერორიზმისგან მთელი საზოგადოების დაცვის მიზნით (იხ. 1988 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №145-ბ, გვ. 33-34, პუნქტი 62). იმისათვის, რომ გაამართლოს პოლიციის საპატიმროში ყოფნის დროის სადავო პერიოდი, მთავრობა აქცენტს აკეთებს ტერორისტული დანაშაულების გამოძიების კონკრეტულ მოთხოვნებზე და ეყრდნობა განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული პროცესის განსაკუთრებულ ასპექტებს (იხ. § 59). სასამართლო ამ არგუმენტებს არ მიიჩნევს დამაჯერებლად შემდეგი მიზეზების გამო:

64. სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ტერორისტული დანაშაულების გამოძიება ცალსახად უქმნის სერიოზულ პრობლემებს ხელისუფლებას (იხ. შემდეგი გადაწყვეტილებები: ზემოთ აღნიშნული ბროგანი და სხვები, გვ. 33, პუნქტი 61; მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1994 წლის 28 ოქტომბერი, სერია ა, № 300-ა, გვ. 27, პუნქტი 58; აქსოი თურქეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 18 დეკემბერი, ანგარიშები 1996-VI, გვ. 2282, პუნქტი 78; საკიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 26 ნოემბერი, ანგარიშები 1997-VII, გვერდები 2623-24, პუნქტი 44 და დემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 23 სექტემბერი, ანგარიშები 1998-VI, გვ. 2653, პუნქტი 41). ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას მე-5 მუხლის საფუძველზე აქვს *carte blanche* დააპატიმროს და დააკავოს ეჭვმიტანილები პოლიციის საპატიმროში ადგილობრივი სასამართლოების კონტროლის და საბოლოო ინსტანციაზე კონვენციის საზედამხებელო ინსტიტუტების გარეშე, როცა დაადგენენ, რომ მოხდა ტერორისტული დანაშაული (იხ. სხვა ხელისუფალთ შორის, ზემოთ აღნიშნული დემირის და სხვების გადაწყვეტილება, *ibid.*).

65. ასევე ფაქტი, რომ პოლიციის, თუ სასამართლოს მიერ ჩატარებული გამოძიება არ დასრულებულა ტერორიზმთან დაკავშირებული სირთულეებისა და მასში ჩართული უამრავი ეჭვმიტანილის გამო, არ ათავისუფლებს ხელისუფლებას მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. ეს დებულება შემუშავებულია სწორედ გამოძიების განმავლობაში გამოყენების მიზნით და სადაც საჭიროა, ხელისუფლებამ უნდა განავითაროს გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო კონტროლის ფორმები, რომელიც შესაბამისობაში იქნება კონვენციასთან (იხ. *mutatis mutandis*, ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1996-V, გვ. 1866-67 და 1869, პუნქტები 131 და 144, და ზემოთ აღნიშნული დემირი და სხვების გადაწყვეტილება, *ibid.*).

66. სასამართლოსთვის ასევე არ არის მისაღები მთავრობის არგუმენტი, რომ პოლიციის საპატიმროში გრძელვადიანი დაკავება მოცემულ საქმეში საჭირო იყო, ვინაიდან ხელისუფლება ეჭვმიტანილებისაგან, მათ შორის, პირველი განმცხადებლისაგან აგროვებდა ინფორმაციას იმისათვის, რომ დაესრულებინა გამოძიება *Dev-Sol*-ის კუთხით. სასამართლო არ წავა იმაზე შორს, ვიდრე კონვენციის სისტემაში მე-5 მუხლის მნიშვნელობის აქცენტირებაა. ის იცავს ადამიანის იმ ფუნდამენტურ უფლებას, როგორიცაა პიროვნების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან მის თავისუფლებაში თვითნებური ჩარევისაგან. აღმასრულებლის მიერ სასამართლო კონტროლი არის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი გარანტიის არსებითი მახასიათებელი, რომელიც მიმართულია თვითნებობის რისკის შემცირებისა და კანონის დაცვისაკენ. ეს არის „დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება... რომელიც ცალსახად არის მითითებული კონვენციის პრეამბულაში“ (იხ. მაგალითად ზემოთ აღნიშნული *საკიკი და სხვების* გადაწყვეტილებები, გვერდები 2623-24, პუნქტი 44). უფრო მეტიც, მხოლოდ სასამართლოს სწრაფ ჩარევას შეუძლია მიგვიყვანოს ცუდად მოპყრობის სერიოზული ფორმების აცილებამდე და გამოვლენამდე, როგორებიცაა ბ-ნ დიკმეს მიერ მითითებული დარღვევები (იხ. § 69), რისი საფრთხის ქვეშაც არიან დაკავებულები, როგორც წესი, მათგან აღიარების მიღების გამო (იხ. *mutatis mutandis*, ზემოთ აღნიშნული *აქსოის* გადაწყვეტილება, გვ. 2282, პუნქტი 76).

67. მოკლედ, სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავების მოცემული პერიოდი არ აკმაყოფილებს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი სისწრაფის მოთხოვნას და შესაბამისად, მოცემულ საქმეში ეს დებულება დაირღვა.

IV. კონვენციის მე-3 მუხლის მითითებული დარღვევა

68. პირველი განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-3 მუხლის ორმაგი დარღვევის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს:

„არავინ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“.

ა. პოლიციაში ცუდად მოპყრობაზე მითითება

1. სასამართლოსთვის წარდგინებები

69. პირველი განმცხადებელი მიუთითებდა, რომ პოლიციის ოფიცრებმა მას მიაყენეს სხვადასხვა სახის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დარტყმები, რაც გაუტოლდა წამებას, კერძოდ, პატიმრობის პირველი ხუთი დღის განმავლობაში (იხ. §§ 12-15) მას ხშირად სცემდნენ, სახეში ურტყმდნენ, მუდმივად ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ის ორჯერ დაექვემდებარა „პალესტინურ საკიდს“ და სამჯერ – ელექტროშოკით წამებას, რაც რამდენჯერმე მის სასჯესო ორგანოებზე იყო გამოყენებული, მას შემდეგ, რაც განმცხადებელს ცივი წყალი გადაავედეს. მის მიმართ ძალადობის გამოვლენის დროს, მას მუდმივად თვალები ჰქონდა ახვეული. უფრო მეტიც, წამების შემდეგ მას შიშველს ტოვებდნენ ბეტონის იატაკზე. საპყრობილეში ყოფნის მეხუთე დღეს, მას შემდეგ, რაც დაექვემდებარა დამცინავ მოპყრობას ტყეში, ფიზიკური ძალადობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მორიგი დაკითხვების დროს, მას მაინც შეურაცხყოფდნენ.

მოსმენაზე განმცხადებლის კონსულტანტი უმეტესად დაეყრდნო ციხის იმ ექიმის ანგარიშს, რომელმაც შეამოწმა ბ-ნი დიკმე. სანამ დაადგენდა, რომ არ შეეძლო განესაზღვრა, ანგარიშის რომელი ნაწილი ეხებოდა პირველი განმცხადებლის მიერ

მითითებული „პალესტინური საკიდის“ შედეგებს და/ან ელექტროშოკს (იხ. § 7), ის ამტკიცებდა, რომ ის დადგენილებები, რომელსაც მეტ-ნაკლებად ადასტურებდა სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ეიუპის სამსახური (სამსახური) არ შეიძლება იყოს საკმარისი მისი კლიენტის მითითებების დასამტკიცებლად.

70. კომისიამ თავის ანგარიშში მიუთითა რა 1992 წლის 28 თებერვლისა და 4 მარტის სამედიცინო ანგარიშებზე, აღნიშნა, რომ მთავრობა არ დავობდა ბ-ნ დიკმეს სხეულზე აღმოჩენილი ნიშნების არსებობის თაობაზე და შესაბამისად, ამას იღებდა როგორც პოლიციის საპატიმროში მოპყრობის შედეგს.

71. მთავრობა სასამართლოსთვის მიმართულ პეტიციაში დავობდა, რომ ბ-ნი დიკმე იმ ფორმებით რომ ყოფილიყო ნაწამები, როგორც თვითონ მიუთითებდა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, რომელმაც ის შეამოწმა 1992 წლის 26 თებერვალს, აღმოაჩენდა მის სხეულზე არსებულ ნიშნებს, როგორც სასტიკი მოპყრობის დადასტურებას. თუმცა ექსპერტმა აღწერა მხოლოდ „ძველი ნაკაწრების არსებობა“ (იხ. § 17). მთავრობის აზრით, როდესაც სამსახური აღნიშნავდა „გარკვეული დაზიანებების და დაღურჯებების“ არსებობას, ეს მოხდა 1992 წლის 4 მარტს, პირველი განმცხადებლის სტამბულის ციხეში მოთავსებიდან შეიღი დღის შემდეგ. სასამართლომ, შესაბამისად, უნდა იგულისხმოს, რომ აღმოჩენილი ნიშნები დაკავშირებული იყო იმ ინციდენტთან, რაც, როგორც ჩანს, ბ-ნ დიკმეს შეემთხვა ციხეში და რომლის თაობაზეც პასუხისმგებლობა არ შეიძლება მიეწეროს პოლიციის ციხეში მასზე მეთვალყურე ოფიცრებს.

72. მოსმენაზე, როგორც ჩანს, მთავრობამ გააკეთა განცხადებების სერია, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ზემოთ მოცემული მსჯელობისაგან. მათ განაცხადეს, რომ 1992 წლის 4 მარტის სამედიცინო ანგარიშმა ფაქტობრივად დაადასტურა 26 თებერვლის ანგარიშში აღნიშნული „ძველი ნაკაწრების“ არსებობა, რადგან „აღწერილი დაზიანებები და ძველი ნაკაწრები [4 მარტის ანგარიშში] უკვე ქრებოდა“. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ საქმის, – „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ გარემოებებისაგან განსხვავებით ([GC], №25803/94, პუნქტი 24, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 1999-V), ბ-ნ დიკმეს მითითებები იყო აბსოლუტურად შეუსაბამო და განუსაზღვრელი იმისათვის, რომ დადგენილიყო მიზეზობრივი კავშირი სამედიცინო დასკვნებსა და მის განცხადებებს შორის. ამასთან დაკავშირებით მთავრობა აცხადებდა, რომ კომისიის აზრის საწინააღმდეგოდ საჩივრის გარემოებებთან დაკავშირებით მათ მიერ წერილობითი მიმოხილვების წარუდგენლობა არ შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც მათ მიერ განმცხადებლის განაცხადის სისწორის მიზეზი. პირველ რიგში, „პალესტინური საკიდის“ დიდი ხნის განმავლობაში გამოყენება, როგორც ამას განმცხადებელი აღწერს, როგორც წესი, იწვევს მამოძრავებელი სისტემის ფუნქციონალურ მოუწესრიგებლობას, რისი სიმპტომების შესახებაც საქმის მასალები არანაირ ინფორმაციას არ იძლევა. მთავრობამ ასევე საეჭვოდ მიიჩნია, რომ განმცხადებელი არ მიუთითებდა ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობაზე, ვინაიდან მოცემულ საქმეში მითითებული ძალადობის აქტების მსგავს შემთხვევებში, ძალადობას დაქვემდებარებულ პირებს, ზოგჯერ შემთხვევიდან დიდი ხნის შემდეგაც, სტანჯავთ ფსიქოლოგიური პრობლემები.

2. სასამართლოს შეფასება

ა) მითითებული ქმედობა

73. სასამართლო იმეორებს, რომ ის არ არის ვალდებული მიიღოს კომისიის მიერ – რომელიც 1998 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში მყოფი კონვენციის სისტემის მიხედვით, პირდაპირ არის პასუხისმგებელი ფაქტების დადგენასა და შემოწმებაზე – ანგარიშში

დადგენილი ფაქტები როგორც სავალდებულო (ყოფილი 28-ე მუხლის პუნქტი 1-ლი და 31-ე მუხლი). სასამართლო თავისუფალია, მის წინაშე მდებარე მასალებიდან გამომდინარე, ფაქტების შეფასებაში (იხ. ზემოთ აღნიშნული *სელმუნი*, პუნქტი 86). უფრო კონკრეტულად, ცუდად მოპყრობის თაობაზე მითითებები უნდა იყოს გამყარებული თანდართული მტკიცებულებებით. ფაქტის დასადგენად, სასამართლო ადგენს „გონივრული ეჭვის მიღმა“ მტკიცების სტანდარტს; ასეთი მტკიცება უნდა გამომდინარეობდეს მნიშვნელოვნად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნების თანაარსებობიდან (იხ. *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ* [GC], №26772/95, პუნქტი 121, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV).

74. პირველი განმცხადებლის შესაბამისად, ცუდად მოპყრობის ფაქტები, რომელსაც ის დაექვემდებარა დაკითხვის დროს, მიმართული იყო იმისაკენ, რომ გამოეწვია როგორც ფიზიკური დაზიანებები (მას სცემდნენ, მუდმივად ურტყამდნენ სახეში, კედელზე თავს არტყემევინებდნენ, ურტყამდნენ სასქესო ორგანოებში, დიდი ხნის განმავლობაში დაკიდეს მკლავებით, ამასთან ხელები ზურგზე ჰქონდა შეკრული „პალესტინური“ ფორმით, გამოყენებულ იქნა ელექტროშოკი მის ქვედა კიდურებზე, ენაზე, სასქესო ორგანოებსა და ყურებს უკან ცივი წყლის დასხმის შემდეგ, რათა დაემაღლათ ელექტროშოკის კვალი, იგი მოათავსეს ცივ, ყინულიან წყალში), ისე მენტალური ტრავმა (ის მუდმივად ექვემდებარებოდა მუქარასა და შეურაცხყოფას, რამდენჯერმე გააშიშვლეს, ასევე გადაიტანა დამცინავი ეგზეკუცია). იგი აცხადებდა, რომ ყოველთვის იყო თვალახეველი და ზოგჯერ ხელებშეკრულიც, როდესაც მის მიმართ გამოიყენებოდა ძალადობა. ის ასევე ორჯერ აიძულეს დაეძინა ბეტონის იატაკზე.

75. სასამართლო დასკვნაში აღნიშნავს, რომ მთავრობას გარდა განაცხადისა, რომ ბ-ნი დიკმეს განცხადებები არ გამომდინარეობდა სამედიცინო ანგარიშიდან, თუმცა მანამდე არ უარუყვია, რომ სადავო ფაქტებს ჰქონდა ადგილი, გარდა „პალესტინური საკიდისა“, რომელსაც მითითებისამებრ დაექვემდებარა ბ-ნი დიკმე (იხ. § 72) არაფერი გაუკეთებია.

76. რაც შეეხება ბ-ნი დიკმეს მიერ მითითებულ ფიზიკურ წამებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა ნამდვილი მტკიცებულება 1992 წლის 26 და 28 თებერვლის და 4 მარტის სამედიცინო ანგარიშის სახით (იხ. §§ 17, 19). ეს დოკუმენტები, რომელიც გამოიყენებოდა როგორც მეორე ანგარიშის საბოლოო ანგარიში, აღწერდა კანის დაზიანების, ეროზიის, დაღურჯებებისა და ნაფხაჭნის დაახლოებით ოცდახუთამდე ნიშნის არსებობას პირველი განმცხადებლის ქვედა და ზედა კიდურებზე.

77. სასამართლო იღებს კომისიის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ პირველი განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი ნიშნები გამოიწვია წამებამ, რომელსაც ის დაექვემდებარა პოლიციის საპატიმროში (იხ. § 70). უფრო მეტიც, მოსმენაზე მთავრობას არ შეუნარჩუნებია პირველადი განცხადება, რომ 1992 წლის 4 მარტის სამედიცინო ანგარიშში აღწერილი დაზიანებების ნიშნები შეიძლება ბ-ნი დიკმეს სტამბულის ციხეში ყოფნის პირველი შვიდი დღის განმავლობაში მიეღო (იხ. §§ 71 და 72).

78. სასამართლო იმეორებს, რომ როდესაც პიროვნება პოლიციის საპატიმროში მოთავსებულია ფიზიკურად კარგ მდგომარეობაში და გათავისუფლებისას გააჩნია დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს დამაჯერებელი განმარტება, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები, რისი შეუსრულებლობაც წამოწევს კონვენციის მე-3 მუხლს (იხ. სხვა ხელისუფალთ შორის, ზემოთ აღნიშნული *სელმუნი* საქმე, პუნქტი 87).

79. მოცემულ საქმეში ის განიხილავს, რომ მთავრობას არც ერთხელ არ უარუყვია პირველი განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული ძალადობა. ის ასევე მხედველობაში იღებს, რომ განმცხადებლის განმარტებები არის საკმარისად ზუსტი და გამყარებული როგორც 1992 წლის 4 მარტის სამედიცინო ანგარიშით, ასევე „ი.ო“-ს განცხადებებით (იხ. § 16). მისი განცხადებით, მის წინაშე არსებული მასალებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დადგინდეს, რომ პოლიციის საპყრობილეში ყოფნისას ბ-ნი დიკმე, სულ მცირე, დაექვემდებარა დიდი რაოდენობით დარტყმებს და წამების სხვა მსგავს ფორმებს, რომელთა ნაწილსაც ავტობატურად არ უნდა დაეტოვებინა ხილვადი კვალი მის სხეულზე და/ან უნდა დაეტოვებინა ნიშნები, რომლებიც გაქრებოდა ჯერ კიდევ მის საპატიმროში ყოფნის დროს, როგორიცაა „ი.ო“-ს მიერ აღნიშნული დაღურჯება, რომელიც მან ბ-ნ დიკმეს თვალზე დაინახა.

80. იმ ძალადობრივი აქტების გათვალისწინებით, რომელიც, მითითებისამებრ, უნდა ჩადენილიყო პირველი განმცხადებლის მიმართ, კერძოდ, კი ისინი, რასაც უნდა გამოეწვია ფსიქოლოგიური განცდა (იხ. §§ 69 და 74), სასამართლო აცხადებს, რომ გარემოებების გათვალისწინებით მსგავსი ძალადობა ხდება კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, თუნდაც რომ არ დაეტოვებინა სამედიცინო კუთხით დადასტურებადი ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური ტრავმა.

81. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ი.ო“-ს განცხადება (იხ. § 16), რომლის სიმართლეშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ითვალისწინებს ადეკვატურ საფუძველს მოთხოვნილი მტკიცებების სტანდარტის პირობებში (იხ. § 73) იმისათვის, რომ დადგინდეს, პოლიციის ოფიცრები ბ-ნ დიკმეს თვალებს უხვევდნენ დაკითხვის დროს თუ არა, პოლიციის საპატიმროში პატიმრობისას მაინც.

82. სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებელი პოლიციის საპატიმროში იმყოფებოდა თექვსმეტი დღის განმავლობაში და უარი ეთქვა იურისტთან, ექიმთან, ნათესავსა თუ მეგობართან ნებისმიერი ფორმით დაშვების თაობაზე. ასევე შესაძლებლობაზე წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე, სანამ ამას საგამოძიებო ხელისუფლების წარმომადგენლები გადაწყვეტდნენ. სასამართლო, საკუთარი ინიციატივით, განიხილავს, რომ პატიმრობისას ბ-ნი დიკმე არსებითად დაუცველი იყო არა მარტო მის თავისუფლების უფლებაში ჩარევისაგან (იხ. §§ 66, 67), არამედ, მის მიმართ გამკიცხავი დამოკიდებულებისგანაც, როგორც საპატიმროს მეთვალყურეების, ასევე მის დაკითხვაზე პასუხისმგებელი პოლიციის ოფიცრების მხრიდან ფიზიკური წამების აქტების მიმართ, რომელიც, როგორც დადგინდა, ჩადენილი იყო (იხ. § 79).

83. მიიღო რა მხედველობაში 81-ე და 82-ე პარაგრაფებში დადგენილი გარემოებები, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ შეაფასოს, შეესაბამება თუ არა სიმართლეს სხვა მითითებები ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ასეთი მოქცევის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის სირთულეს (იხ. § 79).

84. საბოლოო ჯამში, სასამართლო აღგენს, რომ საჩივრის მიზნებისათვის 79-ე, 81-ე და 82-ე პარაგრაფში აღწერილი ფაქტები შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად.

85. ასევე უნდა ჩაითვალოს, რომ თუნდაც უმცირესი მტკიცებულების და/ან მითითებების დამადასტურებელი ნებისმიერი პრაქტიკული განმარტების არარსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება დადგინდეს, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა „პალესტინური საკიდის“ და/ან ელექტროშოკის გამოყენებას.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ის მოწვეული იყო ამ მტკიცებულებების წარმოდგენისათვის (იხ. § 7), განმცხადებელმა მოსმენაზე ვერ წარმოადგინა რაიმე დამადასტურებელი ფაქტი, რაც შესაბამისობაში იქნებოდა სამედიცინო ანგარიშით აღნიშნულ განმეორებადი ელექტრომოკის, ან განგრძობადი „პალესტინური საკიდის“ შესაძლო ეფექტებთან (იხ. §§ 69 და 74).

ბ) დადგენილი ფაქტების სერიოზულობა

86. პირველ განმცხადებელს ამ საკითხზე განცხადებები არ წარუდგენია.

87. კომისიამ აღნიშნა, რომ ბ-ნ დიკმეს სხეულზე აღმოჩნდა უამრავი სერიოზული დაზიანება და დაღურჯება, რომელიც ადასტურებდა მიყენებულ ტრავმას. მისი აზრით, ის ძალადობა, რასაც ბ-ნ დიკმეს მიმართ ჰქონდა ადგილი, მხოლოდ განხრახ შეიძლებოდა განხორციელებულიყო, აღიარების მიღების მიზნით. ის აცხადებდა, რომ მსგავსი მოქცევა უტოლდებოდა წამებას, იმ სასტიკი და დამსჯელი გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც ის ხდებოდა.

88. მთავრობის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი პეტიცია მოიცავდა უამრავ განცხადებას სადავო ქმედობის მნიშვნელობისა და არსის თაობაზე და ამდენად, მე-3 მუხლის საფუძველზე მათ შესაძლო დახასიათებაზე. მაგალითად, მთავრობა დავობდა განმცხადებლის სხეულზე ნაპოვნი ნიშნების რაოდენობაზე და მიუთითებდა სამედიცინო ექსპერტის დასკვნაზე, რომელმაც ის 1992 წლის 24 თებერვალს შეამოწმა და დაადგინა, რომ სხეულზე აღინიშნებოდა მხოლოდ „ძველი ნაფხაჭნები“ და 1992 წლის 4 მარტის სამედიცინო ანგარიშმა „დაადასტურა ძველი ნაფხაჭნების“ არსებობა (იხ. § 72). მოსმენაზე მთავრობამ იდავა, რომ სამედიცინო ანგარიშები, რასაც ეყრდნობოდა განმცხადებელი, არ ადასტურებდა ცუდად მოპრობის ფაქტს, რომლის კვალიფიკაციაც შეიძლებოდა გატოლებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციით“ გათვალისწინებულ წამების განმარტებას, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისიდან.

89. როგორც ბევრჯერ გადაწყვიტა სასამართლომ, მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. თუნდაც ყველაზე რთულ გარემოებებში, როგორიცაა ტერორიზმის, ან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. კონვენციისა და №1 და №4 ოქმების მნიშვნელოვანი დებულებებისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ უშვებს არანაირ გამონაკლისს და გადახვევას მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თუნდაც ხალხის სიცოცხლისათვის საშიში საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში (იხ. ზემოთ აღნიშნული *სელმუნი*, პუნქტი 95).

90. სასამართლო იმეორებს, რომ თავისუფლებამორთმეული პირის მიმართ, ფიზიკური ძალის გამოყენება, თუ ეს მკაცრად აუცილებელი არ არის მისი პირადი ქმედების გამო, ამცირებს ადამიანის ღირსებას და პრინციპულად არის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა (*ibid.*, პუნქტი 99). ამასთან დაკავშირებით, გამოძიების მოთხოვნებმა და ტერორისტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებითმა და უდავო სირთულეებმა არ შეიძლება გაამართლოს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვაზე შეზღუდვების დაწესება (იხ. *mutatis mutandis*, *რიბიშნი აესტრიის წინააღმდეგ*, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №336, გვ. 26, პუნქტი 38). შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ წამების, არაადამიანური, ან დამამცირებელი

მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა არის აბსოლუტური კატეგორია მიუხედავად მსხვერპლის ქცევისა და – როდესაც საქმეში ჩართულია პატიმრობაში მყოფი პირები, – მითითებული დანაშაულის ხასიათისა (იხ. *mutatis mutandis*, ზემოთ აღნიშნული *ლაბიტა*, პუნქტი 119).

91. მხედველობაში მიიღო რა დადგენილი ფაქტები (იხ. § 84), სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ-ნ დიკმესთვის მიყენებული დარტყმები მიმართული იყო როგორც ფიზიკური, ასევე მორალური ტანჯვის გამოწვევისაკენ, რაც გაართულა მისმა სრულმა იზოლაციამ და დამატებითმა ფაქტორმა, რომ ის იყო თვალუბრებელი. ამგვარი მოპყრობით უნდოდათ მასში შიში, ნერვიულობა და დაუცველობის სინდრომი გამოეწვიათ იმისათვის, რომ დაემცირებინათ, შეურაცხყოფა მიყენებინათ და მასში სიმტკიცე და ნებისყოფა გაეტეხათ.

92. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა იყო როგორც არაადამიანური, ასევე დამამცირებელი. ამასთან დაკავშირებით მან მიუთითა, რომ სელმოუნის საქმეში იმ პრინციპის მიხედვით, რომ კონვენცია არის „ცხოვრების ინსტრუმენტი, რომელიც განმარტებული უნდა იქნეს დღევანდელი დღის პირობებში“, მან განაცხადა, რომ გარკვეული მოქმედებები, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც „არაადამიანური და დამამცირებელი“, როგორც „წამების“ საწინააღმდეგო, მომავალში სხვაგვარად უნდა იქნეს კლასიფიცირებული (იხ. ზემოთ აღნიშნული სელმოუნი, პუნქტი 101):

„... ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვისათვის მოთხოვნილი ზრდადი სტანდარტი შესაბამისად და აუცილებლად მოითხოვს უდიდეს სიმტკიცეს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევების შეფასებისას“.

განსასაზღვრი რჩება, შეიძლება თუ არა ბ-ნ დიკმეს მიმართ მოპყრობის, როგორც წამების კვალიფიკაცია.

93. სასამართლომ პირველ რიგში უნდა განსაზღვროს მე-3 მუხლში ჩადებული განსხვავების საჭირო წონა, წამებას, არაადამიანურსა და დამამცირებელ მოპყრობას შორის. როგორც ჩანს, კონვენციაში განსხვავება შეტანილ იქნა იმის გამო, რომ სპეციალური ღაქა მიენიჭებინა მოფიქრებული არაადამიანური ქმედებისთვის, რაც გამოიწვევდა სერიოზულ და სასტიკ ტანჯვას (*ibid.*, პუნქტი 96).

94. იგივე განსხვავებაა გაკეთებული გაერთიანებული ერების კონვენციის პირველ მუხლში, რომელზეც მიუთითებს მთავრობა:

„1. კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც განზრახ არის მიმართული პირის მიმართ, აყენებს ფიზიკურ ან მორალურ სასტიკ ტკივილს თუ განცდას, იმისათვის, რომ მიიღოს მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაცია თუ აღიარება, მისი დასჯა მის მიერ ან მესამე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ან ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ან მესამე პირის შეშინება, ან იძულება ნებისმიერი მიზეზით და ნებისმიერი დისკრიმინაციული საფუძველით, როდესაც ასეთი ტკივილი ან განცდა გამოწვეულია გამოძიებით ან გამოძიებისას, ან საჯარო მოხელის თანხმობით ან უმოქმედობით, ან სხვა პირის მიერ, რომელიც მოქმედებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში...“

როგორც სასამართლომ ადრეც დაადგინა, მუხლში მითითებული „სისასტიკის“ კრიტერიუმში, საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, შეესაბამება მე-3 მუხლის გამოყენებით

მოთხოვნილ „მინიმალურ სისასტიკეს“ (ibid., პუნქტი 100); ის დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, როგორიცაა მუქარის ხანგრძლივობა, ფიზიკური და/ან ფსიქიკური ეფექტები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. სხვა ხელისუფალთ შორის, ზემოთ აღნიშნული *ლაბიტა*, პუნქტი 120).

95. მოცემულ საქმეში პირველი განმცხადებელი უდავოდ ცხოვრობდა მუდმივ ფიზიკურ ტკივილსა და ნერვიულობაში მისი გაურკვეველი მომავლისა და მის მიმართ გამუდმებული დარტყმების გამო დაკითხვის გრძელი პროცესის განმავლობაში, რასაც ის ექვემდებარებოდა პოლიციის საპატიმროში ყოფნისას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავსი მოპყრობა პირველი განმცხადებლის მიმართ იყო განზრახი ქმედობა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მათი მოვალეობების შესრულების დროს იმ მიზნით, რომ მიეღოთ აღიარება ან ინფორმაცია იმ დანაშაულების შესახებ, რომელთა ჩადენაშიც იყო ეჭვმიტანილი.

96. ამ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ პირველი განმცხადებლის მიმართ ძალადობა მთლიანობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მიზანსა და დროს, იყო სერიოზული და სასტიკი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სასტიკი ტკივილი და განცდა. ამდენად, ის უთანაბრდებოდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ წამებას.

97. შესაბამისად, მოხდა მე-3 მუხლის დარღვევა.

ბ. ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიება

98. მოსმენაზე განმცხადებლების კონსულტანტმა განაცხადა, რომ პროცედურული თვალსაზრისით, ბ-ნ დიკმეს არ მიეცა ეფექტური სამართლებრივი დაცვა, რადგან არც ერთ სასამართლო ხელისუფალს არ მოუთხოვია მნიშვნელოვნად დეტალური გამოძიების ჩატარება მითითებული ცუდად მოპყრობის დასადგენად.

99. კომისიამ საჭიროდ არ მიიჩნია საქმის ამ ასპექტის განხილვა.

100. მთავრობამ განაცხადა, *inter alia*, რომ ცუდად მოპყრობის თაობაზე მითითებები, როგორიცაა მოცემულ საქმეში ეროვნული ხელისუფლების მიმართ გაკეთებული განცხადება, არ შეიძლება ჩაითვალოს „ღირსეულ საჩივრად“. სტამბულის პროვინციის საბჭოსთვის მითითებები იყო საკმაოდ ბუნდოვანი და შეუსაბამო იმისათვის, რომ დაენახა მიზეზი, თუ რატომ უნდა იქნეს მიღებული „ჩატარებული გამოძიებისგან“ „განსხვავებული პოზიცია“ (იხ. § 31).

101. სასამართლომ ადრე დაადგინა, რომ როდესაც პიროვნება ახდენს იმის დამაჯერებელ მტკიცებას, რომ მან განიცადა მე-3 მუხლის შემზღუდავი ქმედობა პოლიციის ან მასთან გათანაბრებული სახელმწიფოს სხვა მოხელეების მხრიდან, ეს დებულება, სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულების განმსაზღვრელ კონვენციის 1-ელ მუხლთან ერთად, იმისათვის, რომ „მისი იურისდიქციის ფარგლებში დაიცვას კონვენციაში გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები“, მოითხოვს ეფექტური ოფიციალური გამოძიების ჩატარებას, რადგან მე-2 მუხლის საფუძველზე ჩატარებული გამოძიება მიმართული უნდა იყოს პასუხისმგებელი პირების აღმოჩენასა და დასჯაზე. სხვაგვარად, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი ქმედობის და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა (იხ. § 89), პრაქტიკაში იქნება არაეფექტური და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეებისთვის შესაძლებელი იქნება მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების შეურაცხყოფა

და მათი ფაქტობრივი დაუსჯელობა (იხ. ზემოთ აღნიშნული *ლაბიტას* საქმე, პუნქტი 131 და *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *ანგარიშები* 1998-VIII, გვ. 3290, პუნქტი 102).

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ასევე იმეორებს იმას, რაც განაცხადა მის 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „*ილანი თურქეთის წინააღმდეგ*“: „... კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნით, პირს რომელსაც მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სადავო საქმის საწარმოებლად აქვს ეფექტური საშუალება, უნდა გააჩნდეს როგორც ანაზღაურება, ასევე საჭირო პროცედურული დაცვითი მექანიზმები სახელმწიფო მოხელეებისგან შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად. ... მიზანშეწონილია, თუ საჭირო მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევის აღმოჩენა დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე“ ([GC], №22277/93, პუნქტი 92, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-VII).

აღნიშნულის გათვალისწინებით და მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, ის ფაქტი, რომ პირველი განმცხადებელი არ ეყრდნობა კონვენციის მე-13 მუხლის გამოყენებას, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს მე-3 მუხლის ფარგლებში.

102. მოცემულ საქმეში გამოძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც პირველმა განმცხადებელმა შეიტანა ფორმალური სარჩელი. სასამართლოს ვალდებულება არის ის, რომ უბრალოდ შეაფასოს, რამდენად მართლზომიერად ჩატარდა გამოძიება, – სხვაგვარად რომ ვთქვათ, იყო თუ არა ის „ეფექტური“.

103. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებლის მიერ შეტანილ საჩივარზე გამოძიება დაიწყო 1992 წლის 27 ნოემბერს. 8 დეკემბერს საჯარო პროკურორს, რომელიც მუშაობდა ამ საქმეზე, ეცნობა, რომ ბ-ნმა დიკემ ფორმალურად შეიტანა საჩივარი; ორი დღის შემდეგ საჯარო პროკურორმა უარყო იურისდიქცია და საქმე გადასცა სტამბულის პროვინციის ადმინისტრაციულ საბჭოს, რომელმაც 1993 წლის 9 ივლისს გადაწყვიტა, რომ პასუხის გასაცემი საქმე არ არსებობდა. სასამართლოს არ აქვს სხვა ინფორმაცია. სამწუხაროა, რომ მთავრობამ ვერ შეძლო, მოთხოვნისამებრ, წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია საჩივართან დაკავშირებული საქმიდან (იხ. § 7 და 32), ან განემარტა, რა ეტაპები გაიარა თურქეთის ადმინისტრაციულმა და სასამართლო ხელისუფლებამ, როდესაც 1993 წლის 9 ივლისს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ არსებობდა პასუხის გასაცემი საქმე.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს, რომ შემთხვევიდან რვა დღეზე მეტი ხნის განმავლობაში (იხ. § 37), გამოძიებამ ვერ შეძლო წარმოედგინა არსებითი შედეგი და შეხვედროდა განყოფილების იმ წევრებს, რომელნიც პასუხისმგებელნი იყვნენ ბ-ნ დიკემსთან დაკავშირებით პოლიციის საპატიმროში და შესაბამისად, სამედიცინო სერტიფიკატებით დადასტურებული ცუდად მოპყრობის თაობაზე, რომლის შინაარსიც, რაც იცოდა ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი.

104. ამ გარემოებებში სასამართლოს არ აქვს სხვა არჩევანი, გარდა იმის დადგენისა, რომ პირველი განმცხადებლის საჩივარზე, პოლიციის საპატიმროში ცუდად მოპყრობის თაობაზე, არ ჩატარებულა მკაცრი და ეფექტური გამოძიება. შესაბამისად, ის ადგენს, რომ ამ კუთხით, კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა.

V. კონვენციის მე-6 მუხლის მითითებული დარღვევა

105. ძირითადად კომისიის დადგენებზე დაყრდნობით, პირველმა განმცხადებელმა ბოლოს მიუთითა, რომ მას სტამბულის ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს მიერ არ მიეცა სამართლიანი სასამართლოს უფლება იმ საფუძველით, რომ მას პოლიციის

საპატიმროში ყოფნისას უარი ეთქვა იურისტის ყოლის თაობაზე. მისი აზრით, ეს უტოლდებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 და მე-3 (გ) პუნქტებს, რომელიც ითვალისწინებს:

„1. ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში...

3. ყველა ბრალდებულს აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

გ. დაიცვას თავი პირადად ან საკუთარი არჩევით იურიდიული დახმარების მეშვეობით, ან თუკი მას არა აქვს საკმარისი სახსრები მისი სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, დახმარება გაეწევა უფასოდ, თუკი მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს...”

106. კომისია, რომელიც, ძირითადად, მიუთითებდა ზემოთ აღნიშნულ საქმეზე არტიკოს გადაწყვეტილებაზე და საქმეზე „მარკესი ბელგიის წინააღმდეგ“, 1979 წლის 13 ივნისი (სერია ა, №31), აღნიშნავდა, რომ შესაძლებელი იყო მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის დარღვევა, თუნდაც განმცხადებელს არ ჰქონოდა რაიმე რეალური დაზიანება. მან, შესაბამისად, გამოხატა აზრი, რომ პოლიციის საპატიმროში ყოფნისას იურისტის დახმარებაზე უარის თქმა უტოლდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. ამ დასკვნის გასამყარებლად, ის მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ბ-ნ დიკმეს აღიარება წამებით იყო მოპოვებული.

107. მთავრობა დავობდა კომისიის დასკვნაზე და ეყრდნობოდა „მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ საქმეში ჩადებულ პრინციპებს (1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1996-I), მყარად ინარჩუნებდა პოზიციას, რომ საჩივარი იყო მოუმწიფებელი და დაშვებადობის ეტაპზე უნდა მომხდარიყო მისი უარყოფა.

108. სასამართლოს უკვე ჰქონდა შემთხვევა, განეხილა საქმე, სადაც განმცხადებელი ბ-ნ დიკმეს მსგავსად ჩიოდა, რომ მას უარი ეთქვა იურისტის დახმარებაზე პოლიციაში პირველი დაკითხვის დროს. ამასთან დაკავშირებით ის იმეორებს თავის დადგენებს საქმის „იმპროვისა შევიცარიის წინააღმდეგ“ 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (სერია ა, № 275, გვ. 13, პუნქტი 36) და ზემოთ აღნიშნულ ჯონ მურეის საქმის გადაწყვეტილებაში (გვ. 54, პუნქტი 62), რომ მე-6 მუხლი გამოიყენება წინასწარი გამოძიების დროსაც და მე-3 პარაგრაფი არის სისხლის სამართლის საქმეებში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის ერთი ელემენტი, სხვა ელემენტებს შორის, როგორც ეს ჩადებულია პირველ პარაგრაფში და შეუძლია იყოს რელევანტური საქმის სასამართლოსთვის გადაცემამდე და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს სამართლიანობა პირველ ეტაპზე იქნება მნიშვნელოვნად დარღვეული, გამოიყენოს მისი დებულებები.

109. როგორც ამავე საქმეებში აღნიშნავს სასამართლო, წინასწარი გამოძიების დროს მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის გამოყენება დამოკიდებულია საქმის გარემოებებსა და პროცესის კონკრეტულ მახასიათებლებზე; იმის გასარკვევად, მოხდა თუ არა მე-6 მუხლის მიზნის მიღწევა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქმის არსებითი პროცედურა (ibid., გვ. 13-14, პუნქტი 38 და გვ. 54-55, პუნქტი 63).

110. ასევე, გამომდინარე საქმის არსიდან, განსაზღვრია იყო თუ არა სადავო პროცესის სამართლიანობის სერიოზული დარღვევა ის ფაქტი, რომ პირველ განმცხადებელს არ მიეცა საშუალება, პოლიციის საპატიმროში ყოფნისას მიემართა მისი იურისტისათვის.

111. სასამართლო განიხილავს, რომ თურქეთის კანონმდებლობა ბრალის აღიარებას, რომელიც სასამართლო პროცესზე იქნება უარყოფილი, არ ანიჭებს რაიმე შედეგს, რაც ზიანის მომტანი იქნება შესაბამის სისხლის-სამართლებრივ პროცესზე დაცვისათვის (იხ. § 38, და ზემოთ აღნიშნული *ჯონ მიურეის* გადაწყვეტილება, გვ. 54-55, პუნქტი 63). ის აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში, სახელმწიფოს მთავარი მრწევლის და პირველი განმცხადებლის მიერ გასაჩივრებულ საკითხებზე საკასაციო სასამართლომ 1999 წლის 22 მარტს არ გაითვალისწინა პირველი განმცხადებლის 1998 წლის 26 ივნისის აღიარება (იხ. § 27). გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ მოსამართლეებს დებულებების გამოყენებისას მხდველობაში რომ მიეღოთ იმ დანაშაულების არსებითი მტკიცებულებები, რის ჩადენაშიც ჰქონდა ბ-ნ დიკმეს ბრალი წაყენებული და მოეხდინათ მათი შეფასება, საკასაციო სასამართლო სწრაფად უპასუხებდა, იყო თუ არა მოსამართლეების დადგენილი ფაქტები შესაბამისი და რამდენად ადეკვატურად იყო გამყარებული მათი გადაწყვეტილებები ამ ფაქტებით.

საქმე დაუბრუნდა ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს, სადაც ის ჯერ კიდევ მოლოდინშია (იხ. § 27). სასამართლო, შესაბამისად, ვერ მოახდენს ბ-ნ დიკმეს წინააღმდეგ მიმართული პროცესის ყოვლისმომცველ შემოწმებას და მიიჩნევს, რომ მას არ შეუძლია განტვირთოს რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეროვნული უსაფრთხოების სასამართლო, ან რა შედეგი ექნება კანონის ნორმების მეორედ გასაჩივრებას (რადგან ეს საშუალება ისევ ხელმისაწვდომი იქნება პირველი განმცხადებლისათვის, თუ ის ჩათვლის, რომ მისი სასამართლო პროცესი მაინც არღვევს იმ უფლებებს, რომელსაც ის დაეკრძნო სასამართლოს წინაშე).

112. ამ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (გ) პუნქტები არ დარღვეულა.

VI. კონვენციის მე-8 მუხლის მითითებული დარღვევა

113. როგორც სასამართლოს წინაშე ქნმა დიკმემ, მეორე განმცხადებელმა, განაცხადა, ის გახდა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი „ოჯახური ცხოვრების“ უფლების დარღვევის მსხვერპლი, რომელიც ითვალისწინებს:

„1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავისი პირადი და საოჯახო ცხოვრების, სახლისა და მიმოწერის პატივისცემა.

2. საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონის შესაბამისად ეს დასაშვებია და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის“.

მან განმარტა, რომ 1992 წლის 11 ივნისს, რამადანის ბოლო დღეს (იხ. § 20), ის მივიდა სტამბულის ციხეში, რათა ენახა თავისი შვილი, მაგრამ მას არ მისცეს ამის ნებართვა. მათ მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ მის წინააღმდეგ აღძრული იყო საქმე, რომლის სანქციაც იყო სიკვდილით დასჯა.

114. კომისიამ, რომლის მოსაზრებაც გაიზიარა მთავრობამ, მიიჩნია, რომ მე-8 მუხლი არ დარღვეულა, ვინაიდან მეორე განმცხადებელს არ წარუდგენია საკმარისი საფუძველი თავისი საჩივრის გასამყარებლად.

115. სასამართლომ მიიჩნია, რომ მან მხედველობაში უნდა მიიღოს ის საფეხურები, რაც მეორე განმცხადებელმა მისი შვილის მოსანახულებლად გაიარა მე-8 მუხლის ფარგლებში; საწინააღმდეგო არგუმენტი არ წამოწეულა.

116. საკითხზე, უთანაბრდებოდა თუ არა ციხის ხელმძღვანელობის უარი „ჩარევას“ მე-8 მუხლის გაგებით, კომისიის მსგავსად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ქნმა დიკემ, რომელიც ცხოვრობს ვენაში, მხოლოდ ერთხელ სცადა შვილის მონახულება, როდესაც რამადანის გამო ჩამოდიოდა თურქეთში. ვინაიდან ის არ წარმოადგენს შემდგომ ინფორმაციას მისი საჩივრის შესახებ, სასამართლომ არ იცის, თუ რატომ არ მისცა ციხის ხელმძღვანელობამ შვილის ნახვის უფლება. ის ასევე აღნიშნავს, რომ ეს უარი მას არც ერთხელ არ გაუსაჩივრებია ხელისუფლებასთან. ასე რომ ყოფილიყო, მას შეეძლო გაესაჩივრებინა ციხის ხელმძღვანელობის ქმედობა გადაწყვეტილების შესაცვლელად. მას არ შეუძლია დააბრალოს მათ, რომ მხედველობაში არ მიიღეს ექსტრემალური რისკი მისი შვილის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, რადგან ის ციხეში მივიდა 1992 წლის 11 ივნისს (იხ. § 20), ხოლო პირველი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას, გამოიცა 1992 წლის 7 სექტემბერს (იხ. § 22).

117. სასამართლო იმეორებს, რომ ხელშემკერელ მხარეებზე მე-8 მუხლით დადგენილი ვალდებულებები ციხეში მისვლასთან დაკავშირებით, უნდა განისაზღვროს პატიმრობის გონივრული მოთხოვნები, ეროვნული ხელისუფლების დისკრეციის ფარგლებში, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება პატიმრის კონტაქტი მის ოჯახთან (იხ. *ბოილი და რაისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1988 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, სერია ა, №131, გვ. 29, პუნქტი 74; იხ. ასევე *სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1983 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, სერია ა, №61, გვ. 38, პუნქტი 98 და *mutatis mutandis*, *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1975 წლის 21 თებერვალი, სერია ა, №18, გვ. 21-22, პუნქტი 45 და *შხონებერგერი და ღურმაზი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1988 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, სერია ა, № 137, გვ. 13, პუნქტი 25).

118. თუნდაც დაუშვათ, რომ მეორე განმცხადებლის მიერ გაპროტესტებული ქმედობა ჩაითვალოს „ჩარევად“, ეს არ არის არანაირი დამადასტურებელი იმისა, რომ მოპასუხე მხარემ გადააჭარბა მისი საქმის შეფასების ზღვარს.

119. მოკლედ, მეორე განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

120. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუკი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკამყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკამყოფილებას“.

ა. ზიანი

121. განმცხადებელი არ ითხოვდა რაიმე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. თუმცა ბ-მა დიკემ მოითხოვა 75 000,00 ევრო იმ არამატერიალური ზიანის კომპენსაციისათვის, რაც მას მიადგა პოლიციის საპატიმროში ყოფნისას.

122. მთავრობა დავობდა, რომ საჩივარი იყო აბსოლუტურად უსაფუძვლო, ვინაიდან არანაირი მიზეზობრივი კავშირი არ იყო დადგენილი წამებასა და საქმეში არსებულ სამედიცინო ანგარიშს შორის.

123. სასამართლო მიუთითებს პოლიციის საპატიმროში ბ-ნ დიკმეს მიმართ ცუდად მოპყრობის დადგენის ფაქტზე (იხ. § 79, 81 და § 82). კონვენციის დარღვევის ექსტრემალურად სერიოზული ხასიათის გათვალისწინებით (იხ. § 67, 97 და § 104), სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველმა განმცხადებელმა განიცადა არამატერიალური ზიანი, რის ასანაზღაურებლადაც არ არის საკმარისი გადაწყვეტილებაში დარღვევის დაფიქსირება. სასამართლომ, მხედველობაში მიიღო რა მის მიერ განხორციელებული წინა დადგენები და მოახდინა შეფასება მიუკერძოებელ საფუძველზე, გადასცა მას 200 000,00 ფრანგული ფრანკი (ფფ), რაც კონვერტირებულ იქნება თურქულ ლირაში გადაცემის დღისთვის არსებული კურსით.

ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

124. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა იურიდიული დახმარებისათვის გაწეული დანახარჯების ასანაზღაურებლად 10 000,00 ევროს. თანხა შემდეგნაირად იყო დაყოფილი:

- ა) მათი იურისტებისთვის მისაცემი თანხა, მათ შორის, კომისიისა და სასამართლოს წინაშე წარსადგენი პეტიციის და საჩივრის შედგენის საზღაური: 7 000 ევრო;
- ბ) სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის: 2 000,00 ევრო;
- გ) მათი იურისტის მგზავრობის ხარჯები: 1 000,00 ევრო.

125. მთავრობის განცხადებით, თანხები იყო გადაჭარბებული და არ ჰქონდა არანაირი კავშირი თურქეთში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან; უფრო მეტიც, მოთხოვნის არანაირი დოკუმენტური მტკიცებულება არ იყო თანდართული. ისინი მიიჩნევდნენ, რომ თუ განმცხადებელს ამ საფუძველით თანხა გადაეცემოდა, ის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაანგარიშებულიყო იმ საჩივრების გათვალისწინებით, რომლებშიც სასამართლომ დაადგინა დარღვევა.

126. სასამართლო იმეორებს, იმისათვის, რომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად მოხდეს ხარჯების გათვალისწინება, უნდა დადგინდეს, რომ ის გამოწვეულ იქნა ფაქტიურად, აუცილებლობით და გონივრული რაოდენობით (იხ. სხვა ავტორებს შორის *ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ* [GC], №31195/96, პუნქტი 79, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 1999-II).

ამასთან დაკავშირებით სასამართლოს განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ინფორმირება მოხდა სასამართლოს წესების, მე-60 წესის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, მათ არ წარმოუდგენიათ რაიმე ვაუჩერი ან ქვითარი, იურისტის ხარჯებისა და ღირებულებების დასამტკიცებლად. იგი ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელს მიეცა სამართლებრივი დახმარება სასამართლოს წინაშე წარსადგენად, რომლის ბოლოსაც, სასამართლოს მიერ 2000 წლის 13 აპრილს გადაეცა 9 652,00 ფრანგული ფრანკი. ამის გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია დაუშვას ეს მოთხოვნა (იხ. როგორც ყველაზე ბოლო ხელმძღვანელი, ზემოთ აღნიშნული *ლაბიტა*, პუნქტი 210).

მიუხედავად ამისა, საქმის მომზადების დროს განმცხადებელს უნდა ჰქონოდა გარკვეული დანახარჯები, რისი დაფარვაც არ მომხდარა ევროპის საბჭოს მიერ. შესაბამისად, შეაფასა რა 41-ე მუხლით გათვალისწინებულ მიუკერძოებელ საფუძველზე, სასამართლო მისთვის 10 000,00 ფრანგული ფრანკის გადაცემას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

გ. საურავი

127. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის გადახდა მოხდეს წელიწადში 2,74%-ით, რადგან თანხის გადაცემა ხდება ფრანგული ფრანკით.

ამ მიზეზებით სასამართლო ერთხმად

1. უარყოფს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას;
2. აღგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი;
3. აღგენს, რომ დაირღვა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;
4. აღგენს, რომ პირველი განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პოლიციის საპატიმროში ცუდად მოპყრობის საფუძველზე და ამ კუთხით არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება;
5. აღგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (გ) პუნქტები;
6. აღგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი;

7. აღგენს:

ა) მოპასუხე სახელმწიფომ პირველ განმცხადებელს, მეთინ დიკმეს, სამი თვის განმავლობაში, უნდა გადაუხადოს შემდეგი რაოდენობა, რაც კონვერტირებული იქნება თურქულ ლირაში გაცემის დღეს არსებული კურსით:

1. 200 000 (ორასი ათასი ფრანგული ფრანკი) ფფ არამატერიალური ზიანისათვის;
2. 10 000 (ათი ათასი ფრანგული ფრანკი) ფფ ევროპის საბჭოს მიერ იურიდიული დახმარებისათვის გადახდილ თანხასთან ერთად;

ბ) უბრალო პროცენტები ყოველწლიურად 2.74% გადახდილ უნდა იქნეს აღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ გადახდამდე;

8. უარყოფს განმცხადებლის მოთხოვნის დარჩენილ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე, წერილობით 2000 წლის 11 ივლისს, სასამართლოს წესების 77-ე წესის მე-2 და მე-3 წესთან შესაბამისად.

მაიკლ ო ბოილი
მდივანი

ელიზაბეტ პალმი
პრეზიდენტი